ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 14 აპრილი, №3-4 (6565)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 80 თეთრი

## გილოცავთ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს



## აღდგომა ქრისტესი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა – ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარის პირველ კვირა დღეს. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 16 აპრილს ვულოცავთ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდგომ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: „მესამე დღეს მკვდრეთით აღდგები“. კვირა დღეს, გამთენიისას, საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედატირდა.

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი სამუშაო ვიზიტით ყვარელში იმყოფებოდა

თელავის-ახმეტის-ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში, ირაკლი ქადაგიშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერთან, გივი ზაუტაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილთან ერთად, სამსახურის ხელმძღვანელებს, მერის წარმომადგენლებსა და საკრებულოს წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს სადღეისოდ აქტუალური საკითხები, არსებული საჭიროებები და გამოწვევები. საუბარი ასევე შეეხო დასრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ამავე დღეს, ირაკლი ქადაგიშვილმა შეხვედრა გამართა ადგილობრივ მოსახლეობასთან, გაეცნო მათ საჭიროებებს და დახმარება აღუთქვა.







## ჩვენი ამოცანაა მოსახლეობას მივაწოდოთ მაღალხარისხიანი სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში

*მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ყვარლის რაიონში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად, არსებული რეზერვუარები ივსებოდა საუკეთესო ხარისხის სასმელი წყლით და რაიონის მოსახლეობისთვის წყალზე დეფიციტი არ არსებობდა. სამწუხაროდ, განუკითხაობის წლებში, გამდიდრებით მოწყურებულმა ადამიანებმა დაიტაცეს მილსადენები (ყვარელში ფატმასურიდან ილიას გორის ძირამდე, ნეკრესის ტერიტორიიდან ყვარელში კაზარმის წყალშემკრებ რეზერვუარამდე გაყვანილი მილსადენები) და ჯართში ჩააბარეს, რის გამოც რაიონის მასშტაბით სასმელ წყალზე დეფიციტი შეიქმნა.*

*ბევრი პრობლემა იყო მოსაგვარებელი ქ. ყვარელში და სოფლებში, რათა მოსახლეობას უწყვეტად მიეღო სასმელი წყალი. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს უდიდესი ძალისხმევა და ფინანსების მოზიდვა დასჭირდა, რათა პრობლემების უმეტესობა*

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## შრომითა და სიყვარულით აშენებული ერთი დიდი ოჯახი

უკანასკნელ წლებში უდიდესი ყურადღება ექცევა ტურიზმის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. საოჯახო ტურიზმს ყვარლის მუნიციპალიტეტში ბევრი მიმდევარი ჰყავს და წარმატებით იყენებენ საკუთარ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისათვის. ერთ-ერთი ასეთია ოთარიშვილების საოჯახო მარანი „ძველი ვაზი“.

გია და ნორა ოთარიშვილების მიერ დაყენებულმა ღვინომ ტურისტებიც მიიზიდა და მათი ნახელავის მოწონებაც დაიმსახურა. დღეს, სტუმართმოყვარე ოჯახს არ აკლია უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულთა რიცხვი და ისინიც კახური ტრადიციებით უმასპინძლდებიან მათ. ბატონ გიას ხელიც რომ უჭრის და გონებაც ეს ყვარლელებმა კარგად იციან, იციან მისი შრომის ფასიც და დღეს მისი შვილები და შვილიშვილებიც მამისა და პაპისგან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას თავიანთი ოჯახების უკეთ ცხოვრებისთვის კარგად და გააზრებულად იყენებენ.

ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ ვწვეოდით ოთარიშვილების ოჯახს და ჩვენი გაზეთისთვის ჩაგვეწერა მათგან აღებული ინტერვიუ.

გაგრძელება მე-6 გვ.-ზე



## მევენახეებო, ვაზის მავნებელ დაავადებებთან ბრძოლის ეტაპი იწყება...

*ვაზის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს ინტეგრირებულ კომპლექსურ მიდგომას. ვაზის ინტეგრირებული დაცვის სისტემა არის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც შედის აგროტექნიკური, სელექციური, ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ბიოტექნიკური დაცვის მეთოდები.*

*ვაზის მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ მეთოდად მაინც ქიმიური მეთოდი ითვლება. საქართველოში ინტენსიურად გამოიყენება პესტიციდები, როგორც მოსავლიანობის ზრდის და მისი ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი წყარო, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა შეირჩეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც მავნე ორგანიზმების*



*წინააღმდეგ მაღალეფექტიანობასთან ერთად ნაკლებ ტოქსიკური იქნებიან სასარგებლო ორგანიზმებისა და ადამიანისათვის, ნაკლებად დააგვიანებენ ბიოსფეროს. მთავარია ქიმიური საშუალებების გონივრული, მიზანმიმართული გამოყენება, რაც, პირველ რიგში, შექმნილი ფიტოსანიტარული მდგომარეობის, მოსავლის შემცირების ფაქტიური საშიშროების ანუ შესხურების აუცილებლობის გათვალისწინებას გულისხმობს. ამ უკანასკნელში იგულისხმება მავნებლობის კრიტერიუმი, ანუ ეკონომიკური ზღვარი, როდესაც ჩატარებული ღონისძიებების ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს შენარჩუნებული მოსავლის ღირებულებას.*

გაგრძელება მე-7 გვ.-ზე




# შესაძლებლობები სოციალური საწარმოებისთვის

5 აპრილს საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციისა (საგა) და სტრატეგიული კვლევების განვითარების ცენტრის (CSRDG) წარმომადგენლებმა, დამწყები სოციალური საწარმოების საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით,საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.კონკურსში მონაწილეობა შეუძლია სასტარტო (START-UP) ეტაპზე მყოფ და ახალ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც საჭიროებენ დამატებით რესურსებს, რათა განახორციელონ ინოვაციური იდეები და შექმნან მდგრადი სოციალური საწარმო. შეხვედრას საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ფონდის მენეჯერი, ქრისტინე კანდელაკი უძღვებოდა, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დაინტერესებულმა პირებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

### კონკურსის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG) აცხადებს დამწყები სოციალური საწარმოებისთვის იდეების საგრანტო კონკურსს. კონკურსში ჩართვა შეუძლია სასტარტო (Start-up) ეტაპზე მყოფ და ახალ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც საჭიროებენ დამატებით რესურსებს, რათა განახორციელონ ინოვაციური იდეები და შექმნან მდგრადი სოციალური საწარმო. საგრანტო კონკურსში მონაწილოების მიღებისათვის სავალდებულოა მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების მინიმუმ 10%-იანი ფინანსური თანამონაწილეობა.

### განაცხადის წარდგენა

სოციალური საწარმოს განაცხადის ფორმის წარდგენა (ჩამოტვირთეთ თანდართული ფაილები) შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე: social.enterprise.ge@gmail.com

გთხოვთ განაცხადის გამოგზავნისას სათაურში მიუთითეთ: დამწყები სოციალური საწარმოს იდეის განაცხადი;

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: 2023 წლის 20 აპრილი, 18:00 სთ.

### პროექტის შესახებ

2021 წლის იანვარში, ევროკომისიის გენერალური დირექტორატის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში (DG NEAR) ფინანსური მხარდაჭერით და ვენჩურული ფილანტროპიის ევროპულ ასოციაციასთან (EVPA) პარტნიორობით დაიწყო 56 თვიანი საერთაშორისო პროექტი სახელწოდებით „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის – სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. (Collaborate for Impact – development of social entrepreneurship and social investments towards economic and social cohesion in the Eastern Partnership)“, რომელსაც საქართველოში ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის წამყვანი განმახორციელებელი ორგანიზაციაა EVPA, ხოლო პარტნიორები: SILab Ukraine, EduHub, Ecovisio და Impact Hub Yerevan.





# ჩვენი ამოცანაა მოსახლეობას მივაწოდოთ მაღალხარისხიანი სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

*დადებითად გადაწყვეტილიყო. კერძოდ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალების და რეზერვუარების რეაბილიტაციის სამუშაოები დროულად განხორციელდა და მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლის საჭირო რაოდენობით.*

*მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას აიპ „ყვარელ-წყალმომსახურების“ სამსახური ახორციელებს, რომელიც არცთუ დიდი ხანია ჩამოყალიბდა, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია. აღნიშნულმა ორგანიზაციამ მრავალი ხელმძღვანელი გამოიცვალა, მაგრამ სასმელი წყლის პრობლემა „აქილევსის ქუსლად“ რჩებოდა. მიმდინარე წელს კი მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.*

*„ყვარელ-წყალმომსახურების“ სამსახურს ამჟამად ახალი ხელმძღვანელი ჰყავს და არსებულ ვითარებაში გასარკვევად ვესაუბრეთ ბატონ თეიმურაზ კოკორაშვილს.*

***– ბატონო თეიმურაზ, ხუთიოდე თვეა, რაც აღნიშნულ სამსახურში ხართ, ხელმძღვანელის პოზიციაზე. რა მდგომარეობაა დღეისათვის, რამდენადაც ვიცით, ჯერ კიდევ ზოგიერთი ქუჩის მაცხოვრებლები შეწუხებულნი არიან იმით, რომ ინტენსიურად არ მიეწოდებათ სასმელი წყალი, განსაკუთრებით სოფელ საბუეში. რა გაკეთდა სასიკეთო თქვენი მოსვლის შემდგომ და როგორ უმკლავდებით პრობლემებს?***

– ა (ა) იპ „ყვარელწყალმომსახურება“ – მ, როგორც ცალკე სუბიექ-



ჯგუფის სწრაფი გადაადგილებისთვის სამსახურს ყავს მიკროავტობუსი. მუნიციპალიტეტის მერიამ გადმოგვცა „ჯსბ“ – ს მაუკის ბულდოზერ – ექსკავატორი, რამაც უფრო ეფექტური გახადა სამსახურის საქმიანობა. ასე,რომ ნებისმიერი დაზიანების ან ავარიის შემთხვევაში ჩვენი მხრიდან ხდება სწრაფი რეაგირება.

***– მუნიციპალიტეტის სოფლებში როგორი ვითარებაა დღეისათვის?***

– როგორც მოგახსენეთ წყლის მიწოდების მხრივ ჩვენი სამსახური ემსახურება მუნიციპალიტეტის 21 სოფელს. 21-ივე სოფელში გვყავს მუდმივი თა-

– როგორც მოგახსენეთ სამსახურში შექმნილია საავარიო ჯგუფი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მარაგნაწილებით, ასევე ტრანსპორტით, რაც შეეხება ჯგუფის წევრებს არიან თავისი საქმის სპეციალისტები.

***– თუ გაგაჩნიათ ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, რათა სისტემატიურად მოხდეს წყლის ხარისხის შემოწმება?***

– დღეის მდგომარეობით ლაბორატიული აღჭურვილობა არ გვაქვს, თუმცა დაგეგმილია უახლოეს პერიოდში მისი შეძენა და მოწყობა, შერჩეული გვაქვს შესაბამისი ფართი. რაც შეეხება წყლის ხარისხის შემოწმებას მოგახსენებთ, რომ გარკვეული პერიოდულობით სურსათის უვნებლობის სამსახური ახდენს წყლის ნიმუშების აღებას და შემოწმებას. ასევე ჩვენს მიერ ხდება ნიმუშების აღება და თელავის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში შემოწმება. უნდა ავღნიშნო, რომ შემოწმებული წყლის ნიმუშების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

***– დაქლორვას რა პერიოდულობით ახდენთ?***

– სასმელი წყლის ბასეინების და ასევე სამარაგო ავზების დაქლორვა ხდება სისტემატიურად.

***– ჭაბურღილებს თუ იყენებთ სასმელი წყლის დეფიციტის შემცირებისთვის?***

– როგორც ავღნიშნე ქ.ყვარელში გვაქვს 5 ჭაბურღილი, რომლებიდანაც 900-ამდე აბონენტი იღებს წყალს. ასევე სოფ. გრემის სასმელი წყლის ბასეინის ტერიტორიაზე გვაქვს ორი მოქმედი ჭაბურღილი. უკვე ერთი თვეა რაც მიმდინარეობს სოფ. გრემის სათავე ნაგებობე-



ტმა ფუნქციონირება 2022 წლის 28 აგტვისტოდან დაიწყო. სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და წყალგაყვანილობის სისტემების კონტროლს ვახორციელებთ ყვარლის მუნიციპალიტეტის 21 სოფელში, ხოლო ქ.ყვარელში 5 ერთეული ჭაბურღილის მეშვეობით სასმელ წყალს ვაწვდით 900-მდე აბონენტს. რაც შეეხება საბუის საკითხს, უნდა ავღნიშნოთ, რომ სოფელი საბუე, ენისელი და ალმატი მარაგდება საბუის თავში არსებული სასმელი წყლის სამარაგე ბასეინიდან, მისი მომარაგება ხდება მდინარე ინწობის წყლით, რომელიც სადრენაჟე სისტემის გავლით მოედინება. ზაფხულის გვალვის და ზამთრის ძლიერი ყინვის დროს მდინარე თითქმის შრება, რაც იწვევს სასმელი წყლის სიმცირეს. მერიის მხარდაჭერით, ჩვენს მიერ განხორციელებილი სამუშაოების შედეგად სამარაგე ბასეინში დამატებით მივიღეთ სასმელი წყლის საკმაო რაოდენობა. დღეის მდგომარეობით სამივე სოფელს აღუდგა წყლის მიწოდება 24 საათიან რეჟიმში.

***– ცნობილია, რომ სასმელი წყლის მაგისტრალები და სათავე ნაგებობები საკმაოდ დიდი ხნისაა და ხშირია სასმელი წყლის მილგაყვანილობების დაზიანების შემთხვევები, დროულად ხდება თუ არა მათი აღდგენა?***

– უნდა მოგახსენოთ, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასმელი წყლის მაგისტრალების უმეტესობა ამოცვლილი და გაახლებულია, მაგრამ საკმაო რაოდენობაა დარჩენილი შესაცვლელი. სამსახურში შექმნილია საავარიო ჯგუფი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით.

ნამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობაზე წყლის მიწოდების რეგულირებას.მცირე დაზიანების შემთხვევაში პრობლემას აგვარებენ საკუთარი ძალებით, ხოლო რთული პრობლემის შემთხვევაში ინფორმაციას გვაწვდიან დაუყონებლივ, რაზეც ხდება მყისიერი რეაგირება.დღეის მდგომარეობით სასმელი წყალი ყველა სოფელს მიეწოდება შეუზღუდავად.

***– თქვენი სამსახურიდან სარეაბილიტაციო სამუშაოებს ვინ ასრულებენ და თუ ხართ კმაყოფილი მათი საქმიანობით?***



ბის და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია და სოფელი მომარაგდება ზემოთაღნიშნული ჭაბურღილებიდან მიღებული სასმელი წყლით.

ჭაბურღილებიდან მიღებული წყლით მარაგდებიან ასევე სოფლები: სანავარდო, კუჭატანი, გავაზი, ჩანტლისყურე, მთისუბანი,შოროხი და ბალღოჯიანი.

***– თქვენს სამომავლო გეგმებში რა სიახლეებს პირდებით მოსახლეობას?***

– მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით ვგეგმავთ ძველი ამორტიზირებული ქსელების რეაბილიტაციას, სადრენაჟე სისტემების განახლებას, მოსახლეობასთან შეთანხმებით სოფლების გამრიცხველიანებას, რათა მივაწოდოთ მაღალხარისხიანი სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს სამსახურებრივ საქმიანობაში აქტიური თანადგომისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა ჩვენს თანამშრომელს, რომლებიც კეთილსინდისიერად და დაუღალავად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რათა მოსახლეობას სისტემატურად მიეწოდებოდეს სასმელი წყალი.

***– წარმატებებს გისურვებთ ბატონო თეიმურაზ, თქვენს მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში, რათა მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხიანი სასმელი წყლით განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.***

ესაუბრა
**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# ალდგომა ქრისტესი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: „მარიამ!“ მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა“. მარიამმა სწრაფად ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა – ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს. მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფერდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასკა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გარდამოსილი“.

ქრისტე აღდგა!!!

# ალდგომა საქართველოში

აღდგომა საქართველოში, ისევე, როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით არდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს (ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით, 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება). აღდგომის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია ბზობა, დღე, როდესაც ქრისტე იერუსალიმში დიდებით შევიდა, ხალხი მას პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილით ეგებებოდა. ამ დრესასწაულზე ყველა ოჯახს ტაძრიდან სახლში ბზის ტოტები მიაქვს, ნაკურთხი ბზა საქართველოში პალმის რტოების სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. ბზობას მოჰყვება ვნების კვირა. ვნების კვირაში, წითელ პარასკევს ყველა ოჯახში კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოა. სააღდგომო კვერცხებს აღდგომის დღემდე არავინ მიირთმევს. აღდგომის წინა დღეებში აცხობენ ასევე სააღდგომო პასკას. ბოლო წლებში სააღდგომო ტრადიციის აუცილებელ ატრიბუტად იქცა მომცრო ჭურჭელში ჯეჯილის გაზრდა, რაც სიცოცხლესა და განახლებას უკავშირდება. სააღდგომოდ გაზრდილ ჯეჯილს წითელ კვერცხებს შემოუწყობენ ხოლმე. აღდგომის დღესასწაულს მორწმუნეთა დიდი ნაწილი ეკლესიაში ხვდება და საზეიმო ლიტურგიას ესწრება, რომელიც დილამდე გრძელდება. აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში შეხვედრისას ადამიანები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად ამბობენ – „ქრისტე აღსდგა“! და პასუხობენ – „ჭეშმარიტად“! (ადრე ეს ტრადიცია აღდგომიდან 40 დღეს გრძელდებოდა). აღდგომას ყოველ ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს სააღდგომო წითელი კვერცხები და პასკა. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმის ტრადიცია, ყველა ცდილობს რაც შეიძლება რთულად დასამტვრევი კვერცხი შეარჩიოს, ვისი კვერცხიც დარტყმისას არ გატყდება მოწინააღმდეგის გატეხილი კვერცხიც მას ერგება. საქართველოში დამკვიდრებულია აღდგომის მომდევნო დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიცია. ადამიანები ახლობელთა საფლავებზე გადიან, მიაქვთ სააღდგომო კვერცხი, პასკა, მცირედი სასმელი და საკვები, მოიხსენიებენ მიცვალებულებს და სააღდგომო კვერცხებს საფლავზე ტოვებენ. აღდგომის მომდევნო კვირას კვირაცხოვლობა აღინიშნება.

საქართველოში ცნობილია ძველი სააღდგომო ტრადიციები, რომლებიც დღეს უკვე მივიწყებულია. ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციაა ჭონა, რომელიც თავისი ხასიათით საშობაო ალილოს მიაგავს. მეჭონეები სააღდგომო სიმღერით მიდიოდნენ სოფლის ყველა ოჯახში და დღესასწაულს ულოცავდნენ. ოჯახი მეჭონეებს კვერცხებით, ტკბილი კვერებით და ფულითაც ასაჩუქრებდნენ. დღის ბოლოს, შეგროვილი სანოვაგით სოფლის მთელი ახალგაზრდობა ერთად აღნიშნავდა აღდგომას. განსხვავებული ტრადიციები არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყაზბეგში, სოფელ სნოში დამკვიდრებული ძველი ტრადიციაც ძალიან ჰგავს ჭონას. აღდგომას ახალგაზრდა ვაჟების მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი, სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცის ხელმძღვანელობით სოფლის ყველა ეზოში შედიოდა აღდგომის მილოცვით. მოსულებს ოჯახის წევრები გამოეგებებოდნენ, დიასახლისს კი შესაწირი გამოჰქონდა. ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ სააღდგომო კვერცხებს ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ, თან ხმამაღლა ამბობდნენ, ვის სახელზე იდებოდა კვერცხი. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები ისრებს ესროდნენ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხევეები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილი შესაწირით საერთო ზეიმი იმართებოდა, ფული კი სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

### რაჭა

რაჭაში აღდგომა დილით პურის ფაფას აკეთებდნენ და ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახში მიდიოდა და აკურთხებდა. ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა ოჯახის წევრი, სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის ბარკალს, ლავაშს და სხვა სანოვაგეს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ აღნიშნავდნენ, აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და დიდი ზეიმი იმართებოდა.



### სამეგრელო

სამეგრელოში აღდგომა დღეს პურის კვერებს აცხობდნენ ყველითა და კვერცხით და განსაკუთრებული ქვევრის – ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. ოჯახის უფროსი, რომელიც დილიდან წყალსაც არ სვამდა, შუადღისას ხონჩაზე აწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო ქვევრის თავზე აწყობდა, შემდეგ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

### გურია

გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა შავი ღვინის, თაფლისა და ბროწეულის წვენის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ სიმხნევისთვის.

### კახეთი

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს და ღორს კლავდნენ. ასევე აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

### სვანეთი

სვანეთში მოსახლეობა სოფლის მთავრ ეკლესიაში ესწრებოდა წირვას. სააღდგომო ზეიმი მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და სრულდებოდა უფლიშით – კვირაცხოვლობის დღესასწაულით, რომელსაც სვანეთში დღესაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

# ბზობა – (ბაიაობა) უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!“, – ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუმზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძნობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაურბოდა მიწიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეობისაგან.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთბაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესომ ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა“ (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას“.

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კვიცზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს – მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.



ქრისტიანთა უმთავრესი რელიგიური დღესასწაული – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრავია, ყოველთვის გაზაფხულს ემთხვევა. საქართველოში აღდგომა განსაკუთრებული ზარზეიმით აღინიშნება.

აღდგომა – უმთავრესი დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა–ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება.

ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით: „ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!“

ამ დღეს ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას.

მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული.

# ალდგომა და სააღდგომო ტრადიციები საქართველოში

აღდგომის კვირისთავი, ანუ მომდევნო კვირა დღე, ხალხური რწმენით, ყველაზე ბედნიერად მიიჩნევა ჯვრისწერისთვის.

### სააღდგომო სუფრა

როგორც ვთქვით, ამ დღეს ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა, მაგიდას ხორცისა და თევზისგან დამზადებული, სანელებლებით შეკმაზული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი ამშვენებს. სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება – ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

### სააღდგომო ტრადიციები

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი.

მაგალითად, ყაზბეგში, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!“ რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული წესით ერთდროულად პასუხობდნენ – „ჭეშმარიტად!“ მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებებოდნენ პასუხით „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგეწიასთ იმისი მადლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!“ ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს შესაწირი გამოჰქონდა – წინასწარ შეღებილი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ და ხმამაღლა იძახდნენ, ვის სახელზეც იდებოდა კვერცხი. პირველ შესაწირს მოხევეები ოჯახიდან შორს მყოფთათვის და მოგზაურთა სადღეგრძელოდ დებდნენ. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები, უფროსის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, მონაცვლეობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველად გატყდებოდა. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხევეები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილით საერთო საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა, ფული კი აუცილებლად სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ და ყველისა და კვერცხის პურის კვერებს აცხობდნენ. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელ

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე



# 31 მარტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

ზვიად გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში დაიბადა.

ზვიად გამსახურდიამ საზოგადოებას თავი ანტისაბჭოთა გამოსვლებით ახალგაზრდობაშივე დაამახსოვრა. 1976 წელს გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თაოსნობით თბილისში დაფუძნდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი. გამსახურდია სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე. ჰელსინკის ჯგუფი აქტიურად გამოდიოდა ადამიანის უფლებების, პირველ ყოვლისა კი ქართველი ერის უფლებების, ქართული კულტურის ძეგლების, მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში, აგრეთვე, დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის 1978 წელს ზვიად გამსახურდია იყო ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალური ნომინანტი (წარდგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ). მანამდე, 1975 წელს, გამსახურდია და კოსტავა აირჩიეს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრებად.

1970 წელს ზვიად გამსახურდია გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. საიდანაც 1977 წლის 1 აპრილს ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით გარიცხეს.გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები (მათ შორის, 4 მონოგრაფია) რუსთველოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, თეოლოგიის, ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, აგრეთვე შექსპირის, ბოდლერის, გოგოლისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები.

დისიდენტური საქმიანობისთვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა 1956 და 1977-1979 წლებში დააპატიმრა.

გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციის, რომელიც დასრულდა 9 აპრილს სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი.

მერაბ კოსტავას ტრაგიკული გარდაცვალების შემდგომ ზვიად გამსახურდია სათავეში ჩაუდგა „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას“.

1990 წლის დამდეგს გამსახურდიას თაოსნობით შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებით ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა (დროშა, ღერბი და ჰიმნი). ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი დამაჯერებელი გამარჯვებით.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობამ საკუთარი ნება გამოხატა და საყოველთაო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. მარტის ბოლო დღეს გამართული რეფერენდუმის საფუძველზე, იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ერთადერთ კითხვა იყო: „გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმის წინა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე გაუმეორეს შეკითხვა – როგორ აპირებთ რეფერენდუმის შედეგების გამოყენებასო. ბატონმა ზვიადმა ასეთ შეკითხვას ხუმრობით „ჟურნალისტური შეთქმულებაც“ უწოდა და დაამატა: ჩვენ საიდუმლოებებს ჟურნალისტებს არ ვანდობთო. რეფერენდუმის ჩატარებას დაემთხვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი საქართველოში. 31 მარტს იგი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. გამგზავრებამდე კი ეწვია დედაქალაქის რამდენიმე საარჩევნო უბანს, სადაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე რეფერენდუმი მიმდინარეობდა და ამავე დროს – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოს არჩევნები.

1991 წლის დეკემბერს ოპოზიციამ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო სამხედრო გადატრიალება. 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თბილისი. ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის მიწვევით, გამსახურდია თავის გარემოცვასთან ერთად გროზნოში ჩავიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1993 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტი წალენჯიხის რაიონის სოფელ ხიბულაში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

# 1991 წლის 9 აპრილი – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

1989 წლის 9 აპრილის სასტიკი დარბევის შემდეგ საქართველოში 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი გაძლიერდა. საქართვლოს სსრ-ის უზენაესი საბჭო კომუნისტური რეჟიმის დასუსტების, ეროვნული მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის პირობებში იძულებული გახდა 1990 წლის 9 მარტსა და 20 ივნისს მიელო დადგენილებები, რომლითაც, ფაქტობრივად, უკანონოდ აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. 9 მარტს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომლითაც აღიარებულ იქნა, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა ინტერვენციასა და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო, პოლიტიკური თვალსაზრისით – ანექსიას.

საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ აღიარა მრავალპარტიული არჩევნები და მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა დაკანონებული იქნებოდა არა როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფორმალური გამგრძელებელი, არამედ როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბერს. მასში კომუნისტური პარტია დამარცხდა და გაიმარჯვა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ «მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო», რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

IDFI-ს მიერ გამოქვეყნებულ ამერიკის შეერთებული შტატების საარქივო ფონდებში დაცულ საიდუმლო დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ 1989 წლის შემდეგ საქართველოში დამოუკიდებლობის მსურველები ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი – ისინი, ვინც მოსკოვთან მკაცრ და უხეშ მიდგომას ანიჭებდნენ უპირატესობას და სურდათ დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მიღება, მეორე ნაწილი კი თანდათანობით, რაციონალურად მიზნის მიღწევის მომხრენი იყვნენ. ამავდროულად, საქართველოში გაძლიერდა ანტი-ქართული განწყობები ეთნიკურ უმცირესობებში, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდნენ.

დოკუმენტებში ნათქვამია, რომ საქართველოში სულ უფრო მეტად მძაფრდებოდა ანტი-საბჭოთა განწყობა. დემონსტრანტები ანადგურებდნენ საბჭოთა სიმბოლოებს, მათ შორის ლენინის ქანდაკებას. ყოველ პარასკევს, იმართებოდა საპროტესტო აქციები საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მოთხოვნით. შენობებიდან მხოლოდ ქართული ეროვნული და მართლმადიდებლური ეკლესიის დროშები ფრიალებდა. ცვლილება შეეხო ენის საკითხსაც – ქართული სახელმწიფო ენად აღიარეს, სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება დაიწყეს.

ამ მოვლენების გაგრძელება იყო 1991 წლის 31 მარტს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე. რეფერენდუმის კითხვა იყო: «თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?» კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90-მა პროცენტმა და მათგან 98 პროცენტმა, 3,672,403 ამომრჩევლიდან 3,295,493 ამომრჩეველმა ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ეს იყო უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით. ამ არჩევანით ქართველმა ხალხმა უარი თქვა სსრ კავშირის მემკვიდრეობაზე.

1991 წლის 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის პატივსაცემად, მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს საერთაშორისო ცნობა. 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ: «საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით».

9 აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაბრუნება იყო, რომელიც ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის საქმიანობის მთავარი მიზანიც მეოცე საუკუნის 80-იან წლებში.

1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე მთავრობის სასახლის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით მიერ აღიარებული დებულებების შესახებ:

„დღეის შემდეგ მის (საქართველოს) ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. *საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას,* როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში არ დარჩებიან გულგრილნი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებენ საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება“.

# 14 აპრილი დედა ენის დღეა

*„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართული და არღარაი იზრახებოდა სხუაი ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისაი და მაშინ შექმნა მწიგნობრობაი ქართული“*

***ლეონტი მროველი***

– 1977 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების რუსიფიკაცია. ამ პრინციპიდან გამომდინარე 1978 წელს შედგა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა, ანუ დედა ენა რუსული ენით უნდა ჩანაცვლებულიყო.

ენა, მართლმადიდებელი სარწმუნოება და საქართველო ერთნაირად მიუღებელი იყო საბჭოთა იმპერიისთვის. მაგრამ ერმა, რომელსაც მამული წაართვეს, სარწმუნოება შეუგინეს და ფაქტიურად მონად აქციეს, არ დაუშვა მშობლიური ენის წართმევა. მთელმა ქართველმა ერმა თავი დადო „დედა ენის“ გადასარჩენად.

საბჭოთა რუსეთის გადაწყვეტილება გახდა წინაპირობა ერის ყველაზე ძვირფასი საგანძურის – ენის შელახული ღირსების დასაცავად აგორებული საყოველთაო მღელვარებისა. ეს იყო დღე ტოტალიტარულ საბჭოთა რეჟიმზე გამარჯვებისა. ყველა ქართველი, თუ არაქართველი, პარტიული თუ უპარტიო, დიდი თუ პატარა, ერთხმად გმობდა კრემლის ინიციატივას და სიცოცხლის ფასად იცავდა ყველაზე ძვირფას საუნჯეს „დედა ენას“, რომელსაც ლადო ასათიანის დიდებული ლექსით თუ გამოვხატავთ „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ...“

1978 წლის 14 აპრილს, ქართველი ახალგაზრდების პატრიოტულმა სულისკვეთებამ, ეროვნული ღირსების განცდამ, ქართველ ერს დიდი გამარჯვება მოუტანა.

ქართველი ხალხის ასეთი ერთსულოვნების მაგალითები არც თუ ისე ბევრი მოიძებნება საქართველოს უახლოეს წარსულში.

მსოფლიოში სულ თოთხმეტ ერს აქვს შესაძლებლობა იამაყოს საკუთარი ანბანით, მათ შორისაა საქართველო. ალბათ, არ მოიძებნება ერი, რომელსაც მშობლიური ენისთვის დედა ენა ეწოდებინა, დედა ენისთვის ძეგლი დაედგა, დედა ენის დღე საყოველთაო დღესასწაულად ექცია.

ალბათ, არც ერთ ენას არ ჰყოლია იოანე ზოსიმედან დაწყებული მრავალი სიტყვამადლიანი მეხოტბენი.

დედა ენა ქართველებისათვის სამშობლოსთან და რწმენასთანაა გაიგივებული. ამიტომ დაგვიტოვა ანდერძად დიდმა ილიამ „მამული, ენა, სარწმუნოების“ მოვლა და გაფრთხილება.ერის მოძღვარს და მოამაგეს კარგად ესმოდა, რომ ქართული ენა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად მრავალი საუკუნის განმავლობაში ამტკიცებდა და ადუღაბებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, საერთო ენამ და სარწმუნოებამ დიდი როლი შეასრულა ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბებაში. ამ ერთიანობამ კიდევ უფრო გააძლიერა და სრულყო ქართული ენა. იგი გახდა ყველა ქართველისთვის სულიერი შემოქმედების გამომხატველი, მუსიკალური ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერების, თუ თექვსმეტსაუკუნოვანი დამწერლობითი ლიტერატურის სახით.

ქართველი ხალხივით ათას ჭირ-ვარამ გამოვლილმა ქართულმა ენამ, ერის, ენისა და ქრისტიანული სარწმუნოებისავის თავდადებულ მამულიშვილთა წყალობით, ღირსეულად გადაიტანა და გაუძლო გადაგვარებისა და გაქრობის საშიშროებას. დღესაც, საფრთხე ემუქრება ქართული ენის სიწმინდეს. უცხო ენების შესწავლა სულაც არ გულისხმობს, რომ საკუთარი ენა უარყო. თითოეული ქართველის მოვალეობაა ზრუნვა ქართული ენის სიწმინდეზე. დღეს კიდევ უფრო საჭიროა მისი დაცვა. არცერთ ქართველს არ ეკადრება უგულებელყოს საკუთარი ენა, ილაპარაკოს უცხოური ტერმინებით, როცა არსებობს უფრო ლამაზი, ამ ტერმინების შესატყვისი ქართული სიტყვები. განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობა აკისრიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სადაც ეს პრობლემა ძალიან ნათლად ჩანს.

„დედა ენის“ ავტორი, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი წერდა:“ ქართული ენა ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა. „დედა ენა“ არის ენა სულისა და გულისა, დედაბოძი ჭეშმარიტი განათლებისა.

ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი ნიკო მარი ქართული ენის შესახებ ამბობდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც კი დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას“.

ამიტომ, თუ გვინდა უცხო ენების სწავლა, ჯერ საკუთარს უნდა ვცეთ პატივი, დავიცვათ ჩვენი ენის სიწმინდე და ღირსება.

„დედა ენის“ ძეგლის გახსნაზე ნოდარ დუმბაძემ ასე მიმართა ქართველ ხალხს: „დედა ენას რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი – ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია“.

„დედა ენა „სახარებაა ბავშვებისა, საქართველოს უწმინდესს მამათა დაწერილი, შექმნილი და შედგენილი, ამიტომ ერი და ენა ერთი და იგივეა“.

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# მამა ბენიამინის ხსოვნას



წუთით არ მოგკლებია მშობლის სითბო. სამაგალითოდ ზრუნავდნენ შენზე დეიდაშვილები, განსაკუთრებით, ქალბატონი ლამარა, რომელიც შენი ცხოვრების გზის გამკვალავი და მეორე დედა იყო. მასწავლებლებს ხომ უყვარდი და უყვარდი. მზია მასწავლებელი. ჩვენი „მზია დედიკო", როგორ გააცილე იმქვეყნად ქრისტიანულად, ყველამ კარგად ვიცით.მაშინ, შორეულ სამოცდაათიან წლებში, გამჭრიახი თვალი, ალბათ, გამჩნევდა, რომ იმჟამინდელი იდეოლოგიისათვის რაღაც არაორდინალური, მოახლოებულ თავისუფლების სიოსთან წილნაყარი სულიერი რესურსი იდო შენში. ჩვენც, სრულიად ახალგაზრდები, იდუმალი წინათგრძნობით ველოდით შენგან სასიკეთოდ უჩვეულოს, თითქმის გაუცნობიერებელს. სკოლის შემდეგ სულგანათლებულმა ილო ბეროშვილმა,

## აკი მიუხველ კიდეც, ღვთიური სიკეთის უთვალავ ქვაზე დამდებო ძმაო და მოძღვარო!

მადლმოსილო ძმაო და მოძღვარო!

ეხლა, როდესაც ქრისტეს შვილთა დასს ჭეშმარიტად შეუერთდი, ჩვენ, შენი თანაკლასელები, სიყმაწვილის უტკბილესი დროის თანაზიარნი, გონების მზერით გიყურებთ, თუ როგორ დავანდი ზეციურში და ორიოდ სიტყვით მოგმართავთ. შენს სულიერ ღვაწლსა და უზომო მადლის გაღებაზე ყვარლელთა წინაშე,ამ ბოლო ხანს იმდენი ითქვა და დაიწერა, ახალს ვერაფერს შევნიშნავთ, ოღონდ, იმ უჩვეულო სითბოსმომგვრელ გულისტკივილზე უნდა ვთქვათ, რაც ათეულ წლებს მიღმა გაჩენილმა დედმამიშვილურმა სიყვარულმა გამოიწვია. როდესაც უკვე წამოვიზარდეთ, ანუ მაღალ კლასებში გადავედით, ცხოვრების არსიც მცირედ შევიცანით, ცოდნა-განათლების მნიშნელობამ როცა გაიღიძა ჩვენში, სწორედ მაშინ გამოიკვეთა შენი განსაკუთრებულობა. ბუნებით თავაზიანი, მორიდებული იყავი, საოცარ პასუხისმგებლობას ავლენდი მოსწავლისას, ერთნაირი სიბეჯითით სწავლობდი ყველა საგანს. ჩვენი კლასი გამორჩეული იყო ნიჭიერი და წარჩინებულებით, შენ ყველა ასპექტში მოჩანდი. უმამოდ იზრდებოდი, თუმცა, ძვირფასი დედისგან მამაშვილური გულისა და გონების კარი გაგიღო, დაგმოძღვრა და ისე მიგიყვანა ეროვნულ-სარწმუნოებრივ, ბევრისთვის სანუკვარ და მიუღწეველ ზღურბლთან. ჩვენ კი, სხვადასხვა გზით წავედით, თითქოს მიინავლა კიდეც სიყმაწვილისდროინდელი სიყვარული, მაგრამ გამოხდა ხანი და გამოჩნდი კიდეც უკვე ამბიონთან მდგარი, მაცხოვრის ნათლითა და სიყვარულით მოსილი, ყვარლელთა სულიერი ამაღლებისათვის შემართული, მაშინ გამოანათა იმ უჩვეულო სხივმა, რომელსაც გონიერი თვალი ხედავდა შენში. გვეამაყები, რომ ასე უდრტვინველად, იობის მოთმინებით, ბევრჯერ ჯანმრთელობა შერყეულმა, იტვირთე აუარება ცოდვანი ჩვენი და ქრისტეს გზისკენ მიგვანიშნე. აუწონავი მადლი და სიყვარულით გაჯერებული იმედი დაგვიტოვე მარადიულობისა, წმინდა გზაზე მიმავალმა. ეს ბოლო გზა იყო, თანაც საარაკოდ საამური, უფალთან პირდაპირ მისასვლელი. აკი მიუხველ კიდეც, ღვთიური სიკეთის უთვალავ ქვაზე დამდებო ძმაო და მოძღვარო!

**ყვარლის მეორე საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულნი, მე-10 ა კლასი მოსწავლეები**



## მადლობა შენ, ჩვენო სულიერო მოძღვარო და მეგობარო...

ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მამა ბენიამინისთვის, იგივე ბეჟანი ჩიხორლიშვილისთვის და ჩვენთვის, მისი თანაკლასელებისთვის ერთად გატარებული დრო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წლები იყო. შემდეგ გაყოფილი და ხუთ წელიწადში კვლავ სიყვარულით შეერთებული გზები...

ყველაფერს ასწრებდა, როგორც სასულიერო, ისე საერო ცხოვრებაში. მაისის თვეში დაგვირეკავდა ბანკეტის დრო ახლოვდება და იქნებ გააგებინოთ ყველასო. ასე მეორდებოდა ყოველთვის და ჩვენც ქვეცნობიერად ველოდებოდით მის ზარს. მერე... მერე ვიკრიბებოდით ერთად კლასელები ოჯახებით. იყო ზღვა სიხარული და მონატრება. ბავშვივით უბრწყინავდა თვალები. ხშირად უთქვამს ჩვენი მეორე ნახევრებიც ჩვენი კლასელები არიან, რადგან რამდენიმე ათეული წელია ერთად მოვდივართო.

ერთ-ერთ ბანკეტზე დაიჟინა მოსანათლები უნდა მოვნათლოთ, მეუღლეებს კი ჯვარი დაგწეროთო. საკმაოდ ბევრი წყვილი ვიყავით ჯვარდაუწერელი.

ლამაზი ნათლობა და ჯვრისწერა გამოგვივიდა. მინდვრის ყვავილების გვირგვინები დაგვადგა თავზე, ერთმანეთის ხელის მომკიდეები ვიყავით, მაყრები ჩვენი შვილები იყვნენ. ეს დღე ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებაში უბედნიერეს ფურცლად ჩაიწერა. ასე მოვედით აქამდე, დიდები და პატარები, ჩვენს ხელში გაზრდილი ჩვენი პატარა თაობა. მერე ნათელ-მირნობა, კვლავ ბანკეტი, კვლავ ბენიამინის ინიციატივა. წელსაც უნდოდა მაგრამ აღარ დასცალდა.

სპეტაკი სულის და ფაქიზი გულის მატარებელი, ცოდვების მიმტევებელი და ყვარელზე უზომოდ შეყვარებული, აწ უკვე ზეციურ სასუფეველში გადასული.

არ ვიცით ამის შემდეგ შევიკრიბებით თუ არა, მაგრამ ის რაც ერთად გაგვიტარებია ჩვენი ცხოვრების ულამაზესი და ბედნიერი წლებია.

მადლობა შენ, ჩვენო სულიერო მოძღვარო და მეგობარო, მადლობა რომ შეძელი შენი ქალაქის მაცხოვრებლების, ნაცნობების თუ უცნობების გულის მოგება და სიყვარული.

გემშვიდობებით უკანასკნელ გზაზე.

**თანაკლასელები: გია ოთარიშვილი, ავთანდილ გრატიაშვილი**

# ფრაგმენტები ანტიკური ხელოვნების ისტორიიდან

ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ხელოვნება, იგივე ანტიკური ხელოვნება, ჩაისახა და განვითარდა ძვ.წ. I ათასწლეულსა და ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში.

ტერმინი „ანტიკური" მოდის ლათინურიდან და ნიშნავს ძველს. ეს ტერმინი გამოიყენება ძველი ბერძნული და რომაული სამყაროს მიმართ. დღეისათვის არსებობს ცნებები: „ანტიკური ისტორია", „ანტიკური კულტურა", „ანტიკური ლიტერატურა", „ანტიკური ხელოვნება" და ა.შ.

ანტიკურმა ხელოვნებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა თითქმის ყველა ეპოქასა და ხალხის ხელოვნებაზე. აღორძინების ხატიდან მოყოლებული ტერმინი „ანტიკური" იხმარება კლასიკური, მაღალი ხელოვნების სინონიმად.

ბერძნები არ თვლიდნენ განათლებულ ადამიანად იმას, ვინც ხელოვნებასთან ახლოს არ იყო. ამიტომაც იყო, რომ ძველი საბერძნეთის სკოლებში ასწავლიდნენ არქიტექტურას, ხატვას, სიმღერას, ცეკვას, ლირაზე დაკვრას.

ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში ბერძნულმა ხელოვნებამ უდიდეს აყვავებას მიაღწია. ხელოვნების განვითარების მთავარი ცენტრი იყო ათენი. იქმნებოდა არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერის შესანიშნავი ძეგლები და ნიმუშები.

ზემოთ აღნიშნულ ეპოქაში ღია ცის ქვეშ წარმოდგენების ჩასატარებლად ათენში ააშენეს საბერძნეთის პირველი თეატრი. თეატრი ბერძნული სიტყვაა და „სანახაობის ადგილს" ნიშნავს. თეატრები შენდებოდა საბერძნეთის თითქმის ყველა ქალაქსა და კოლონიაში.

ძველი ბერძნული მითების საფუძველზე წარმოიშვა პიესები, რომლებსაც „ტრაგედიები" ეწოდებოდა. ეს სიტყვა „თხების სიმღერას" ნიშნავდა. სახელწოდება იმ დროიდან შემორჩა, როდესაც წარმოდგენების მონაწილენი თხის ტყავს იცვამდნენ. ტრაგედიების მოქმედი პირები, ჩვეულებრივ, ღმერთები და მითიური გმირები იყვნენ.

ტრაგედიების გამოჩენილი ავტორები გახდნენ ბერძენი მოღვაწენი: „ტრაგედიების მამა" ესქილე (ძვ.წ. VI-V ს.ს.), სოფოკლე (ძვ.წ. V ს.), ევრიპიდე (ძვ.წ. V ს) და სხვ.

ესქილეს ტრაგედიებია – „მიჯაჭვული პრომეთე", „ორესტე", სოფოკლესი – „ანტიგონე", „ოიდიპოს მეფე", ევრიპიდესი – „ჰერაკლე", „მედეა" და სხვ.

სადღესასწაულო ოხუნჯობებისა და დამცინავი სცენებისგან წარმოიშვა მხიარული და გასართობი პიესები – „კომედიები". სიტყვა კომედია „მხიარული სოფლელების სიმღერებს" ნიშნავს. გონებამახვილობითა და სატირით გამოირჩეოდა „კომედიების მამის" არისტოფანეს (ძვ.წ. V-IV ს.ს.) კომედიები: „მხედრები", „ლისისტრატე", „ქალთა კრება", „პლუტოსი" და სხვ.

ანტიკური საბერძნეთის თეატრალურმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე. ბერძნული თეატრის მემკვიდრეობას ფართოდ იყენებდნენ რომაელები, ასევე აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში. ძველი საბერძნეთის თეატრის ტრადიციებმა შემდეგ ეპოქებშიც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.

ძველი ბერძნების ყოფასა და ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მუსიკას. ანტიკურ საბერძნეთში არსებობდა მომღერალთა, მუსიკოსთა და მოცეკვავეთა სპეციალური ჯგუფები – კოლეგიები. ბერძნული მუსიკა ერთხმიანი იყო. ჩვენ დრომდე მოაღწია ძველი ბერძნული მუსიკის ნოტების რამდენიმე ფრაგმენტმა. ჰომეროსის (ძვ.წ. VIII ს.) პოემებში მოიპოვება ცნობები მუსიკის როლის შესახებ რელიგიურ ცერემონიალებსა და ხალხურ დღესასწაულებში, შრომისა და ბრძოლის პროცესებში.

ბერძნები ძალიან ზრუნავდნენ საზოგადოებრივი ადგილების გამშვენიერებაზე. ძველი ბერძნული (ელინური) არქიტექტურის ძირითადი ნიშნები მთელი სისრულით ტაძრების მშენებლობაში გამოვლინდა.

ტაძრები როგორც შიგნით, ისე გარეთ ქანდაკებებით იყო შემკობილი. მრავალი ქანდაკება იდგა ქალაქის მოედნებსა და სხვა სახალხო ადგილებში. ანტიკური ხანის დიდ ბერძენ მწერალს პლუტარქეს (ახ.წ. I-II ს.ს.) უთქვამს: „ათენში უფრო მეტი ქანდაკებაა, ვიდრე ცოცხალი ადამიანიო".

მოქანდაკენი ქანდაკებებს კვეთდნენ მარმარილოსგან, ასხამდნენ ბრინჯაოსგან, ამოჭრიდნენ ხისგან. ღმერთებსაც, გმირებსაც და თავიანთ თანამედროვეებსაც ბერძნები ლამაზ ადამიანებად გამოხატავდნენ, მოხდენილი სხეულით და პირისახის სწორი ნაკვთებით.

ძვ.წ. V საუკუნეში მოქანდაკეებმა ადამიანის სხეულის მოძრაობის გადმოცემა ისწავლეს. ისინი ადამიანებს გამოსახავდნენ სირბილის მომენტში, ბრძოლის, ბადროს ან შუბის ტყორცნის დროს. ასეთია მაგალითად მოქანდაკე მირონის (ძვ. წ. V ს.) „ბადროს მტყორცნელი".

ხელოვნების განვითარების მთავარი ცენტრი ათენი იყო. ათენში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი არქიტექტორები და მოქანდაკეები. ათენის აკროპოლისის (ე.წ. ზედა ქალაქი, ქალაქის ცენტრი) რეკონსტრუქციას და მშენებლობას დიდი მოქანდაკე ფიდიასი (ძვ.წ. V ს.) ხელმძღვანელობდა. აკროპოლისი მასზე აღმართულმა შენობებმა და ქანდაკებებმა ბერძნული ხელოვნების შედევრად აქციეს. ბერძნული არქიტექტურის მწვერვალია პანთეონი – ქალღმერთ ათენას ტაძარი (ძვ.წ. V ს.) ამჟამად ათენის აკროპოლისში შექმნილია არქეოლოგიური ნაკრძალი და მუზეუმი.

ანტიკურობის ხანა ძველი რომის ისტორიით მთავრდება. რომის ხელოვნება წარმოადგენს ანტიკური მხატვრული კულტურის განვითარების დამაგვირგვინებელ ეტაპს. რომაელთა კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ძველი საბერძნეთის მაღალმა კულტურამ.

ბერძნების ენას, მეცნიერებას და ხელოვნებას რომაელები გაეცვნენ სამხრეთ იტალიის კოლონიებში. ბერძნების ანბანის საფუძველზე მათ შეადგინეს ლათინური ანბანი.

ბერძნული კულტურის და კერძოდ ხელოვნების გავლენა რომში გაძლიერდა რომაელების მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ. ერთი რომაელი პოეტი ხატოვნად წერდა: „ტყვედ წამოყვანილმა საბერძნეთმა ველური დამპყრობლები დაატყვევა მკაცრ ლაციუმში (რომში) – ხელოვნების შეტანით".

რომაელებს საბერძნეთიდან გაჰქონდათ ქანდაკებები და სურათები. ბერძენი არქიტექტორები, მოქანდაკენი და მხატვრები მუშაობდნენ მდიდარი რომაელების დაკვეთით. რომაული მოქანდაკეობის უდიდესი მიღწევაა პორტრეტული ქანდაკებებისა და ბიუსტების შექმნა. სირთულითა და სიუხვით ხასიათდება რომაელთა მოზაიკა.

რომაელებმა იტალიის ქალაქებში ააგეს თეატრები ბერძნული თეატრების ნიმუშების მიხედვით. თეატრალური წარმოდგენები ძველ რომში ყოველწლიური სახელმწიფო დღესასწაულების დროს ეწყობოდა, რომლებმაც შემდგომში უფრო მეტი განვითარება ჰპოვეს. ძველ რომში თეატრის პირველი ქვის ნაგებობა ააშენა პომპეუს დიდმა ძვ.წ. 55-52 წ.წ.

კიდევ უფრო დიდი წარმატებით სარგებლობდა საცირკო წარმოდგენები და გლადიატორთა ბრძოლები, რომლებიც საჯარო სანახაობებისათვის სპეციალურად აგებულ კოლიზეუმსა (კოლოსეუმი) და სხვა ამფითეატრებში ეწყობოდა. თავისი მასშტაბებით გაოცებას იწვევს ჩვენამდე მოღწეული რომის კოლიზეუმი. გეგმით ელიფსური შენობის სიგრძე 190 მეტრია, ხოლო სიგანე – 156 მეტრი, რომელიც დაახლოებით 50 ათას ადამიანს იტევდა.

ამფითეატრი კონსტრუქციულად წარმოადგენდა გრანდიოზულ ნაგებობას – კამარების, თაღებისა და სვეტების რთულ სისტემას. მათ შორის განლაგებული იყო კამაროვანი გალერეები, ფოიეები და კიბეები. შუაში გამართულ არენას კი გარს ერტყმოდა საფეხურებად განლაგებული მაყურებელთა დასაჯდომი ადგილები.

ძველი რომის თეატრმა, განსაკუთრებით დრამატურგიამ – პლავტუსი (ძვ.წ. III-II ს.ს.) ტერენციუსი (ძვ.წ. II ს.) და სხვ. დიდი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე.

ანტიკური რომის მუსიკა ელინისტური კულტურის გავლენით განვითარდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ადამიანების ყოფასთან დაკავშირებული მუსიკალაური და პოეტური ჟანრები – საქორწილო, სუფრული, ტრიუმფალური, მიცვალებულთა ხსოვნასთან დაკავშირებული სიმღერები. პოეზია და მუსიკა მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთთან.

პოეტურ ნაწარმოებებს – ჰორაციუსის (ძვ.წ. I ს.) ოდებს, ვერგილიუსის (ძვ.წ.I ს.) ეკლოგებს, ოვიდიუსის (ძვ.წ. I – ახ.წ. I ს.ს.) პოემებს მღეროდნენ ჩამოსაკრავ ინსტრუმენტებზე (სამკუთხა არფა, ბარბიტი, პექტი და სხვ.). ძველ რომში მუსიკისა და ცეკვის მასწავლებლის პროფესია განსაკუთრებით საპატიო და პოპულარული იყო.

ძველი რომის ხუროთმოძღვრებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია იმპერიის აყვავების პერიოდში (ძვ.წ. I ს. 20 წ.წ. – ახ.წ. II ს.) ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ნაგებობათა უჩვეულოდ დიდი მასშტაბები. რომაულ არქიტექტურას შენობების გრანდიოზულობითა და ბრწყინვალებით მთელი მსოფლიოსთვის იმპერიის ძალა და სიმდიდრე უნდა ეჩვენებინა.

რომაელებმა მსოფლიოს გააცნეს ბერძენ არქიტექტორთა მიღწევები და თვითონაც ბევრი რამ ახალი შექმნეს სამშენებლო ხელოვნებაში. რომში გამოგონებული ბეტონი მტკიცედ კრავდა ქვებს ერთმანეთთან. ამან რომაელებს საშუალება მისცა აღემართა დიდებული თაღები, კამარები, გუმბათები.

არქიტექტურა თანდათან იქცა იმპერატორის პიროვნების განდიდებისა და იმპერიის ძლიერების პროპაგანდის საშუალებად. ამის დადასტურებაა: აგვუსტუსის – ფორუმი, ვესპასიანესა და ტიტეს – კოლიზეუმი, დომიციანეს – პალატინუმის სასახლე, ტრაიანეს სვეტი, მარკუს ავრელიუსის კოლონა და სხვ.

რომაული ხელოვნება გავრცელებული იყო არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ უზარმაზარ რომის იმპერიაშიც. გვიანდელი რომის იმპერიის ხელოვნებაში ჩასახულმა მხატვრულმა ფორმებმა დასაბამი მისცა ევროპის შუა საკუნეების კულტურას.

ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ხელოვნება ანტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

**ოთარ დავითაშვილი,**
**ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი**

# სააღდგომო ტრადიციები საქართველოში

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

**რაჭაში** აღდგომა დილით, წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

**გურიაში** აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

**კახეთში** სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ.

# შრომითა და სიყვარულით აშენებული ერთი დიდი ოჯახი



***— ქალბატონო ნორა, ვიცით, რომ გაქვთ ტურისტული ბიზნესი. რამდენად შემოსავლიანია ეს ბიზნესი? როგორ გიმართლებთ?***

— 2017 წელს „საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული მიკრო მეწარმეების შესაძლებლობის გაზრდის" ფარგლებში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" პროექტში მივიღეთ მონაწილეობა. პროექტმა დადებითი შეფასება მიიღო და მოვიპოვეთ გრანტი. ეს მცირედი თანხა გახდა საწყისი საოჯახო ბიზნესის განვითარების გზაზე.

ხელი შეგვიწყო იმ გარემოებამაც, რომ გვქონდა საკმაოდ მყარი საკუთარი მატერიალური ბაზა: ვენახები, მარანი, სარდაფი, არყის სახდელი ოთახი და საკმაოდ დიდი ფართობის ვაზის და კივის ხეივნიანი ეზო.

ჩვენი სავიზიტო ბარათია 120 წელზე მეტი ხნის ვაზი „კახური ვარდისფერა". მარანსაც ამ ვაზის სიძველის გამო დაერქვა „ძველი ვაზი".

მოგეხსენებათ ბაზარზე დამკვიდრება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიებმა, კერძოდ ინტერნეტის საშუალებით გაკეთებულმა პიარ-რეკლამებმა საკმაოდ წარმატებული გაგვხადა საერთაშორისო ტურიზმის სფეროში.

დღეს ჩვენი მარანი საკმაოდ პოპულარულია და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ვიზიტორს მასპინძლობს. მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს როგორც მსხვილ ტურისტულ კომპანიებთან, ისე კერძო გიდებთან. ვიღებთ ჯავშნებს სხვადასხვა ტურ-ოპერატორებისგან და ვმუშაობთ წინასწარ გაწერილი გრაფიკით.

***— რა უფრო იზიდავთ თქვენთან მოსულ უცხოელებს და როგორი კმაყოფილები ბრუნდებიან თავანთ ქვეყნებში?***

— ტურიზმი მარტო ბიზნესი და მოგება არაა. ჩვენ არა მარტო მასპინძლები, არამედ გიდებთან ერთად საქართველოს დესპანებიც ვართ. თითოეული სიტყვა, მოქმედება ასჯერ აწონილი უნდა გქონდეს, მაქსიმალურად ვცდილობთ დადებითი კუთხით დავანახოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე ტრადიციები. მივიღოთ როგორც ოჯახის წევრები და განშორების შემდეგ უკან დაბრუნების ნოსტალგია დავუტოვოთ.

არიან ისეთი ვიზიტორები, რომლებიც მეოთხედ და მეხუთედ დაბრუნებულან ჩვენთან. ხან წელიწადში ორ-სამჯერაც.

ერთ შემთხვევას გავიხსენებ: სამხრეთ კორეადან ვიზიტორი გვესტუმრა, ქვევრის ღვინის წარმოებით იყო დაინტერესებული. გვითხრა, ჩვენს ქვეყანაში თქვენს მარანს 10 ვიზიტორიდან 8 დადებითი შეფასება აქვს და დიდი პოპულარობით სარგებლობთო. რა თქმა უნდა სასიამოვნოა ამის გაგება.

ჩვენი მარანი არის მარანი-მუზეუმი, სადაც ერთმანეთის გვერდით ბევრი საინტერესო ნივთია განლაგებული, რასაც ჩამოსული ტურისტები ინტერესით ათვალიერებენ.



ვიზიტორები ასევე ათვალიერებენ მარანს, ეცნობიან ღვინის წარმოების ტექნოლოგიას. აგემოვნებენ სხვადასხვა სახის ღვინოს, ვუტარებთ კულინარიულ მასტერკლასებს. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ დაღლილმა ვიზიტორებმა დაისვენონ და რამდენიმე დაუვიწყარი საათი გაატარონ.

განსაკუთრებული დატვირთვა შემოდგომაზე მოდის. ამ დროს ვიზიტორების რაოდენობა იზრდება. ყურძნის კრეფა, საწნახელში დაწურვა, ქართული სუფრა და ბოლოს წალამზე შემწვარი მწვადით დღის დაგვირგვინება. ეს ნამდვილი დღესასწაულია კახეთში ჩამოსული ტურისტებისთვის.

***— ნორა, ხართ მრავალშვილიანი ოჯახი, თქვენი ეზო-ყურის შეხედვას არაფერი სჯობს. სტუმრებისთვის მისაღები კუთხეც ყოველთვის უნდა გქონდეს მზადყოფნაში. ვინ გეხმარებათ ამ ყველაფერში?***

— ეს ბიზნესი აერთიანებს ოჯახის ყველა წევრს. ჩემი მეუღლე გიორგი ოთარიშვილი ამ საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი ღერძია. ვენახის მოვლა, ყურძნის დაწურვა, ღვინის დაყენება — მისი მთავარი პრეროგატივაა. ჩვენი შვილის გიორგი ოთარიშვილის დამსახურებაა მარნის რეკონსტრუქცია, რომელიც თავად დაგეგმა და თავისი ხელით გააკეთა. ახალი სული ჩაბერა მამა-პაპეულ კარმიდამოს და ძველი ახლიდან გააცოცხლა. ჩვენ ქალები — მე და ჩემი რძალი ეკო ზანთარაია — ძირითადად ეზო-კარის მოვლით და სამზარეულოთი ვართ დაკავებული. რაც შეეხება ჩვენს პატარა შვილიშვილებს, მათაც თავიანთი ფუნქციები აკისრიათ. სიამოვნებით გვეხმარებიან პატარა-პატარა საქმეებში, შემდეგ კი ქართულ ჩოხებში გამოწყობილები ცეცხლოვანი ცეკვებით აოცებენ და აჯილდოებენ ვიზიტორებს.

ტურიზმის კუთხით განავითარა თავისი ბიზნესი ჩემმა შვილიშვილმა ნიკა ცუკილაშვილმა. მისი საოჯახო მარანი „ლუნისი" საკმაოდ მოკლე ვადაში გახდა წარმატებული.

***— ქალბატონო ნორა, თქვენ რამდენიმე ათეული წელი იმუშავეთ გაზეთ „ყვარლის" რედაქციაში, როგორ გაიხსენებდით ამ პერიოდს?***

— გაზეთ „ყვარლის" რედაქციაში 22 წელი ვიმუშავე. ეს საკმაოდ დიდი დრო იყო იმისათვის, რომ შემესისხლხორცებინა და ჩემიანად გამეხადა ყველა ძველი თუ ახალი თანამშრომელი. ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები და ლამაზი მოგონებები სწორედ ამ განათლებულ ხალხს უკავშირდება. არ შეიძლება პატივისცემით და დიდი მოწიწებით არ გავიხსენო ავთანდილ გაფრინდაშვილი, მერი ჩიხიაშვილი, გურამი გურასპიშვილი, ბაკური ბეროშვილი, ჩვენთვის დაუვიწყარი, თავისი საქმიანობის კარგი მცოდნე ფოტოკორესპონდენტი შალვა ხომალდიშვილი. მარადიული ხსოვნა მათ.

ჩვენ ერთად ერთი დიდი ოჯახი ვიყავით და მიუხედავად იმისა, რედაქციაში აღარ ვმუშაობ, მაინც მისი მბრუნავი ღერძის ერთი პატარა ნაწილი ვარ. არ უნდათ და არ ცდილობენ ამ ნაწილის მოშორებას, ეს კი ბატონი ალექსანდრე გიგილოშვილის და მთელი კოლექტივის დამსახურებაა, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით.

***— ბატონო გია, ვიცით, რომ თქვენი საქმიანობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, როგორ უმკლავდებით ამ საქმეს?***

— ვენახის მოვლა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, პლიუს ბიზნესი, ვიზიტორებთან ურთიერთობა ერთი ადამიანისგან საკმაოდ დიდ დატვირთვას მოითხოვს, მაგრამ როცა შენი საქმე გიყვარს, როცა ამას სიამოვნებით აკეთებ, დაუძლეველი არაფერია. მთავარია სუფთა გულით მიიღო სტუმრები, იზრუნო პირველ რიგში მომსახურების ხარისხზე და შედეგსაც შესაბამისად მიიღებ.

***— მე და ჩემი მეუღლე 46-ე წელია ერთად ვართ, ერთმანეთს ვუდგევართ გვერდში და ერთად ვაშენებთ მომავალს, ისევ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, უკეთ ცხოვრებისა და ბედნიერებისთვის. მადლობა უფალს ამისთვის.***

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# ჭინჭარი უნიკალური მცენარე



სწორედ ახლა ჭინჭრის სეზონია და საშუალება გვეძლევა მისი უნიკალური, სასარგებლო თვისებები ჩვენ სასიკეთოდ გამოვიყენოთ.

დღეს, როცა თანამედროვე სამკურნალო პრეპარატების ფართო არჩევანია და განუკურნებელი დაავადებები თითქმის აღარ არსებობს, ამის მიუხედავად, ხალხურ სამკურნალო საშუალებების მიმართ ინტერესი მზარდია. იმას, რასაც ბუნება გვთავაზობს ალტერნატივა არა აქვს, თუ რათქმაუნდა სწორად გამოვიყენებთ.

ჭინჭრის ზოგიერთი სამკურნალო თვისება მეცნიერულადაც დადასტურებულია.

გამოსადეგია ჭინჭრის ყველა ნაწილი – ფოთლები, ფესვები, ღერო, თესლი.

ჭინჭრის ნორჩ ფოთლებსა და ღეროებს მაისსა და ივნისში კრეფენ, რადგან ყვავილობის შემდეგ მცენარის სამკურნალო თვისებები სუსტდება.

### კვებითი ღირებულება

იცოდით, რომ ჭინჭარში ექვსჯერ მეტი კალციუმია, ვიდრე ძროხის რძეში და შვიდჯერ მეტი C ვიტამინი, ვიდრე ფორთოხალში? მოდი, გავიგოთ, რითია მდიდარი ეს მცენარე (მონაცემები მოყვანილია 100 გრამზე გათვლით):

**კვებითი ღირებულება – 42 კილოკალორია**

ცხიმი – 0,6 გ

ნახშირწყლები – 1,3 გ

ცილები – 7,3 გ

**ვიტამინები და მინერალები**

A ვიტამინი – 400 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 44%)

ბეტა კაროტინი – 2.400 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 120%)

E ვიტამინი – 800 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 6%)

ვიტამინი B1 – 200 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 18%)

ვიტამინი B2 – 150 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 13%

ვიტამინი B3 – 800 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 5%)

ვიტამინი B5 – 300 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 5%)

ვიტამინი B6 – 160 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 11%)

ვიტამინი B7 – 0,5 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 1%)

ფოლიუმის მჟავა – 30 მკგ

C ვიტამინი – 333000 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 333%)

K ვიტამინი – 600 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 10%)

ნატრიუმი – 80 მგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 5%)

კალიუმი – 475 მგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 12%)

კალციუმი – 713 მგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 71%)

მაგნიუმი – 80 მგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 23%)

ფოსფორი – 138 მგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 20%)

გოგირდი – 40 მგ

ქლორიდი – 150 მგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 7%)

რკინა – 4120 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 33%)

თუთია – 1020 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 12%)

სპილენძი – 240 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 19%)

მანგანუმი – 1260 მკგ (სადღელამისო ნორმის დაახლოებით 36%)

ჭინჭარს ჯერ კიდევ ავიცენა იყენებდა სისხლდენის შესაჩერებლად – მასში შემავალი K ვიტამინი ააქტიურებს ღვიძლში პროთრომბინის სინთეზს, რაც სისხლის შედედების აუცილებელი ფაქტორია. სახალხო მკურნალები ჭინჭრის მიღებას რკინის დეფიციტით გამოწვეული დაღლილობისა და ზოგადი სისუსტის დროს გვირჩევენ. ის თითქმის ოთხჯერ მეტ რკინას აწვდის ორგანიზმს, ვიდრე სტეიკი და სამჯერ მეტს, ვიდრე ისპანახი.

ჭინჭარი წმენდს ორგანიზმს წიდისგან. უხდება ღვიძლს, ნაღველს და საჭმლის მომნელებელ სისტემას. ჭინჭრის წვენს პარაცელსუსი ჰეპატიტიან პაციენტებს ასმევდა.

ჭინჭარი დადებითად მოქმედებს პანკრეასზე – ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის მოწესრიგებას, აუმჯობესებს ნერვული და ენდოკრინული სისტემების მუშაობას.

ჭინჭრის ჩაი საუკეთესოა სახის გამწმენდად, როცა კანქვეშ ანთებითი პროცესი მიმდინარეობს (მაგალითად, აკნეს დროს). ამცირებს ალერგიულ გამონაყარს, უხდება ეგზემას.

ჭინჭარი (როგორც შინაგანი, ისე გარეგანი გამოყენებისას) ხელს უშლის უჯრედებზე თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, აფერხებს დაბერების პროცესს.

მოდი, უფრო დეტალურად გავეცნოთ მის სამკურნალო თვისებებს.

### ნაწლავის ანთებითი დაავადება

ჭინჭარი ძალიან უხდება ნაწლავის ანთებით დაავადებებს: კრონის დაავადებას, წყლულოვან კოლიტს. მათი პრევენციისთვის ამ მცენარის მენიუში შეტანაც საკმარისია.

### ართრიტი

ანთებასაწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და ტკივილგამაყუჩებელი თვისებების გამო ჭინჭარი ძალიან კარგია ართროზის (განსაკუთრებით – მისი ყველაზე გავრცელებული ფორმის, რევმატოიდული ართრიტის) და პოდაგრის დროს.

ფრანკფურტისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ 50 გ ორთქლზე მოწალული ჭინჭრის ყოველდღიური მიღება საგრძნობლად ამცირებს ტკივილს და შესაძლოა, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებიც კი შეცვალოს. პაციენტებს, რომლებიც ჭინჭარს ყოველდღე მიირთმევდნენ, საგრძნობლად შეუმსუბუქდათ ტკივილი. საგრძნობლად დაიკლო სისხლში რევმატული პროცესის მარკერებმა, ხოლო მოძრაობა გაცილებით თავისუფალი გახდა.

### შარდის ბუშტისა და საშარდე გზების ინფექციები

ჭინჭარი კარგი შარდმდენია. მისი ჩაი საუკეთესოა საშარდე გზების ინფექციებისა და შარდის ბუშტის გაღიზიანების დროს: შარდი მალ-მალე გამოიყოფა და ინფექციის გამომწვევი მიკრობებიც თან მოჰყვება. რაც უფრო მაგარია ჩაი, მით უფრო ინტენსიურად მოქმედებს.

ჭინჭარი ხელს უშლის შარდის ბუშტსა და თირკმელში ქვების ჩამოყალიბებას – მისი წყალობით ქვის წარმომქნელი მინერალური მარილები შარდში აღარ კრისტალიზდება.

### ბაქტერიები

ჭინჭრის ფოთლები შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ბაქტერიების გამრავლებას აფერხებს. ძველად ერთ მუჭა ჭინჭრის ფოთოლს ძროხის ახალმოწველილ რძეში ყრიდნენ, რომ რძეს უფრო მეტხანს გაეძლო, ხორცსა და თევზს მათში ახვევდნენ, მალე რომ არ გაფუჭებულიყო.

### პროსტატის პრობლემები

ჭინჭრის ფესვი კარგი ფიტოთერაპიული საშუალებაა პროსტატის დაავადებების, მაგალითად, კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის (კეთილთვისებიანი გადიდების) დროს. კვლევამ, რომელშიც ამ დიაგნოზის მქონე 558 პაციენტი მონაწილეობდა, აჩვენა, რომ ჯგუფში, სადაც ჭინჭრის თერაპიას ატარებდნენ, პაციენტთა 81 პროცენტი ისე გამოკეთდა, მკურნალობა თითქმის აღარ სჭირდებოდა.

სხვა კვლევის მონაწილეები ნახევარი წლის განმავლობაში ყოველდღე იღებდნენ ჭინჭრისა და სერენოას პალმის ექსტრაქტებს. მათ საგრძნობლად შეუმცირდათ საშარდე გზების პრობლემები, რომლებიც პროსტატის გადიდებით იყო გამოწვეული, თანაც არა მარტო საწყის და საშუალო ეტაპებზე, არამედ უკვე კარგად გამოხატული სიმპტომების შემთხვევაშიც კი.

### იმუნური სისტემა

ექინაცეა იმუნიტეტის გასაძლიერებელი ცნობილი საშუალებაა, თუმცა კვლევებმა ცხადყო, რომ ჭინჭარი უფრო ძლიერ ეფექტს ახდენს. ის აძლიერებს ანტისხეულების წარმოქმნას და ფაგოციტების მოქმედებას.

### წნევა

ჭინჭარი დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ხალხურ მედიცინაში მას მაღალი არტერიული წნევის დროს იყენებენ. მოქმედების მექანიზმი და წნევის დამწევი ეფექტი მეცნიერულადაც არის შესწავლილი. ამასთან, ჭინჭარი ადუნებს დაჭიმულ სისხლძარღვებს.

### უნაყოფობა და იმპოტენცია

ძველად ჭინჭრის თესლს აგროვებდნენ და საერთო სისუსტის დროს ჭამდნენ, რადგან ძალას მატებდა.

ჭინჭრის თესლში არის ჰორმონის მსგავსი ნივთიერებები და ვიტამინები, რომლებიც შეუცვლელია ერექციული

გაგრძელება მე-7 გვ.-ზე

# ჭინჭარი უნიკალური მცენარე

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

დისფუნქციის აღმოსაფხვრელად და ტემპერამენტის ასამაღლებლად. ამასთან, ჭინჭრის თესლი საუკეთესოა მეძუძური დედებისთვის, რადგან ხელს უწყობს რძის წარმოქმნას.

### თმის ცვენა

ჭინჭრის თესლს აქტიურად იყენებენ კოსმეტოლოგიაში თმის ცვენის შესაჩერებლად და თმის გასახშირებლად.

თესლი პირველ ყინვებამდე უნდა მოაგროვოთ. გააშროთ მზეზე ან ღუმელში, ნელ ცეცხლზე, დაახლოებით 15 წუთი გააჩეროთ. შეგიძლიათ, მოაყაროთ მიუსლის, სალათას, წვნიანს ან ასევე მიირთვათ 1-2 სუფრის კოვზი. ჭინჭრის თესლი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო ბუნებრივი საკვებდანამატია დედამიწაზე.

თმის ზრდის გასააქტიურებლად შეგიძლიათ ჭინჭრის ჩაი თმაზე გადაივლით. ის ააქტიურებს სისხლის მოძრაობას. შედეგად თმის ძირები უკეთესად მარაგდება საკვები ნივთიერებებით, რაც ხელს უწყობს თმის ზრდას.

თმის ცვენას ძალიან უხდება ჭინჭრის ფესვების ნაყენი. 200-300 გ ფესვი დაჭერით, გახეხეთ, დაასხით 1 ლიტრი წყალი და 1 ლიტრი ღვინის ძმარი, წამოადუღეთ, საცერში გაატარეთ და გააგრილეთ. ყოველდღე გადაივლეთ თმაზე. ნუ ჩამოიბანთ.

### ჭინჭრის მათრახი

ჭინჭრის მათრახი არა მხოლოდ რევმატიზმს, არამედ ლუმბაგოსაც (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული წელის უეცარი ტკივილი) უხდება. თუ მტკივან ადგილზე რამდენჯერმე დაირტყამთ ახალმოკრეფილ ჭინჭარს ან დაისრესთ მის ფოთლებს, სისხლის მიმოქცევა გააქტიურდება, კუნთები მოეშვება და ტკივილი იკლებს.

### უკუჩვენებები

ჭინჭარს უკუჩვენებები არ აქვს, თუმცა შეიძლება, მისი ინდივიდუალური აუტანლობა აღმოგაჩნდეთ, რომელიც გამოიხატება შებერილობით, გულისრევის შეგრძნებით, ფაღარათით. ვისაც ალერგია აქვს, უმჯობესია ჭინჭრის სამკურნალოდ გამოყენებამდე ექიმთან გაიაროს კონსულტაცია. არ არის რეკომენდებული ჭინჭრით მკურნალობა მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა ან თირკმლის ფუნქციის დარღვევით გამოწვეული შეშუპება აწუხებს. ნუ მიიღებთ თრომბოფლებიტის, ვარიკოზისა და ორსულობის დროს.

### სამზარეულოში

ჭინჭრის ფოთლები გაზაფხულზე უნდა დაკრიფოთ, სანამ ჯერ კიდევ ნორჩია, ზაფხულში კი მხოლოდ ნორჩი ბოლოები წააწყვიტეთ. ეცადეთ, გზის სავალი ნაწილის მახლობლად არ დაკრიფოთ – უმჯობესია, გზიდან მოშორებული, სუფთა ადგილი იპოვოთ. ფოთლებმა რომ არ დაგსუსხოთ, ხის საგორავით კარგად გადაუარეთ ან სქელ ცელოფანში ჩაყარეთ და ორივე მხრიდან კარგად დატკეპნეთ.

ჭინჭრის ფოთლები შეგიძლიათ მოწალოთ და ნიგვზითა და ცოცხალი მწვანილით შეანელოთ ან, როგორც ისპანახს, ზეთში მოშუშული ხახვი მოასხათ. შეგიძლიათ დაუმატოთ ნებისმიერ სალათას ან სმუზი გააკეთოთ. ჭინჭარი განსაკუთრებულ გემოს სძენს სოუსს, კარტოფილის პიურეს, რძის ნაწარმს, უხდება ომლეტს, ცომეულს. ძალიან გემრიელია ჭინჭრის პესტოც.

არც ჩაი დაგავიწყდეთ. ჭინჭრის ფოთლების ჩაის არც ისე სასიამოვნო სურნელი აქვს, ამიტომ მათ ხშირად სხვა მცენარეთა ფოთლებსაც ურევენ, მაგრამ თუ სამკურნალოდ სვამთ, უმჯობესია, მხოლოდ ჭინჭრის გამომშრალი ფოთლები გამოიყენოთ. 2 ჩაის კოვზს 250 მლ ადუღებული წყალი დაასხით და 10 წუთი გააჩერეთ. შეგიძლიათ, სვათ დღეში 1-2 ჭიქა არა უმეტეს 6 კვირის განმავლობაში, მერე 2-3 კვირა შეისვენოთ.

არ დაგავიწყდეთ ჩაისთან ერთად წყლის სმა, თორემ შესაძლოა, ორგანიზმი გამოშრეს.

ჭინჭარს იყენებენ ქრონიკული ვარიკოზული წყლულებისა და სისხლნაკლებობის დროს. ჭინჭრის ფოთლების ნაყენს იყენებენ, როგორც სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალებას ბაუსილის დროს.

ჭინჭარი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.

დასალევი ნაყენის მისაღებად, 4 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ ფოთოლს ერთ ჭიქა მდუღრე წყალს ასხავენ და სვავენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ჭინჭრის წვენს იყენებენ თირკმელებში კენჭის წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე შარდსადენი გზების ინფექციური დაავადების მკურნალობის დროს.

თმის ცვენის დროს აიღეთ 1 სუფრის კოვზი ჭინჭრის ფოთოლი, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1,5 სთ, გაწურეთ შეიზილეთ ნაყენი ახალადაბანილ და გამშრალ თმაში კვირაში ერთხელ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

საინტერესოა, რომ ჭინჭარი ბიომეურნეობებში აქტიურად გამოიყენება, როგორც სასასუქე მასალა.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური და უძველესი მეთოდი (ჩვენი წინაპრები აქტიურად იყენებდნენ) ნიადაგის ნაყოფიერების ზრდისთვის.

იმ მცენარეებისგან, რომელსაც სარეველებს ვეძახით და აქტიურად ვცდილობთ მათგან განთავისუფლებას შეიძლება, ძალიან კარგი განოყიერების საშუალება მივიღოთ.

ამგვარის სასუქი ეფექტურია ფინანსური თვალსაზრისით და რაც მთავარია




ნიადაგს უბრუნდება ის ნივთიერებები, რომლებიც ბაღში და ბოსტანში მცენარეებმა საკუთარი ზრდისთვის გამოიყენეს. უფრო მეტიც ფოტოსინთეზის შედეგად ჭინჭარმა და სხვა სარეველებმა, დამატებითი საკვები ნივთიერებები შექმნეს საკუთარ ბიომასაში.

**ჭინჭრის სასუქი შემდეგნაირად მზადდება:**

• გაზაფხულხე თესლის გამოღებამდე მოვკრიფოთ ან მოვცელოთ ჭინჭარი;

• სასუქისთვის გამოიყენება ნედლი, ჯამრთელი ღეროები და ფოთლები;

• გამოიყენეთ ემალირებული, პლასტმასის ან ხის ჭურჭელი (იდეალურია მუხის კასრი, თუმცა ეს ძვირი სიამოვნებაა). ხსნარი დუღილის პროცესში ლითონთან შეიძლება რეაქციაში შევიდეს, ამიტომ არ ღირს არაემალირებული ლითონის ჭურჭლის გამოყენება;

• მწვანე მასა დააქუცმაცეთ აავსეთ ნებისმიერი სიდიდის ჭურჭელი, ოღონდ ბოლომდე არა (15-20 სმ-ის თადარიგით) დუღილის პერიოდში ხსნარი ქაფდება;

• დაასხით შემთბარი წყალი ისე, რომ დაიფაროს მწვანე მასა, სასურველია ყოველდღე 2-3 ჯერ მორევა;

• დუღილი გრძელდება დაახლოებით ორი კვირა, 12-15 დღე;

• დუღილის დასრულების შემდეგ, ხსნარი გაფილტრეთ.

ამ პროცესში ჭინჭრის ნარევი მუქდება და გამოყოფს უსიამოვნო სუნს, სუნის გასაქრობად მასში რამდენიმე წვეთ ვალერიანს აწვეთებენ.

მიღებულ ხსნარს, გამოყენების წინ (გამოიყენეთ მხოლოდ გამოყენების წინ გაზავებული) აზავებენ წყლით პროპორციით 1/10 ზე. ამ ხსნარით თბილ ამინდში საღამოთი, ხოლო გრილ ამინდში დილით რწყავენ მცენარის ძირებს ისე, რომ მან ფესვებამდე ჩააღწიოს.

ხსნარი გამოიყენება დასუსტებული მცენარის იმუნიტეტის ასამაღლებლად. საუკეთესო საშუალებაა კომბოსტოსთვის, ნიახურისთვის, პამიდვრისთვის, კიტრისთვის და სხვა ბოსტნეულისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ ჭინჭრის სასუქის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი: ნიორის, ხახვის და პარკოსანი კულტურებისთვის.

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# მევენახეებო, ვაზის მავნებელ დაავადებებთან ბრძოლის ეტაპი იწყება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

*საქართველოს ბაზარზე უამრავი კომპანიები და სავაჭრო ობიექტები ფუნქციონირებენ, რომლებიც პრეპარატებს უკეთებენ რეალიზაციას. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა მევენახე პრეპარატს ასხურებს მავნებლების საწინააღმდეგოდ, ეწევა სოლიდურ ხარჯს, მაგრამ დაავადება მაინც უჩნდება ვაზს. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნდობის ფაქტორს, მევენახე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პრეპარატი ხარისხიანია, ფალსიფიცირებული არ არის და ვენახს არ დაუზიანებს.*

*ხარისხიანი პრეპარატების სარეალიზაციო ერთ-ერთი ქსელია „აგროცენტრი+“, რომლის ახალი ფილიალი სულ რაღაც 1 კვირის წინ ქალაქ ყვარელში გაიხსნა, ტექინსპექტირების ცენტრის მეზობლად.*

*აღნიშნული კომპანიის ყვარლის ფილიალში მუშაობს* თემურ მაზანაშვილი, *რომელიც ათეული წლებია ამ სახის პროდუქციის რეალიზაციას ახდენს და საკმაოდ გამოცდილია აღნიშნულ სფეროში. ბატონ თემურს ვთხოვე გამოენახა დრო ინტერვიუს ჩაწერისთვის, რათა ყვარლელი მევენახეები გაერკვნენ სარეალიზაციო შხამ-ქიმიკატების ხარისხსა და უპირატესობაში.*




***– ბატონო თემურ, ვაზს ყველაზე მეტად აზიანებს ჭრაქი და ნაცარი, როგორ ვებრძოლოთ, რა სახის პრეპარატების შესხურებაა საჭირო, რომ მოსავალი გადავარჩინოთ?***

– პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიანიჭონ ევროპულ, უკვე ნაცად პროდუქციას, ჩვენ არ ვემხრობით რეალიზატორების იმ კატეგორიას რომელიც ზოგიერთ პროდუქციას აძაგებს და ზოგიერთს აქებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა საჭირო დოზირებით, შესხურების მეთოდიკით და საჭირო პერიოდში გამოყენებით ფერმერი ყოველთვის მიიღებს სასურველ შედეგს, ამიტომ ჩვენს ქსელში ვერ შეხვდებით მხოლოდ ერთი ბრენდის პროდუქციას, ვთანამშრომლობთ როგორც შვეიცარიული წარმოების „Syngenta“, გერმანულ მწარმოებლების „Basf“, „Bayer Cropscience“, „DVA“, ფრანგული „Action Pen“, ებრაული „ADAMA“,ბულგარული „Agrico Group“, თურქული „Hektas“, იტალიური „ISAGRO“-ს პროდუქციის საქართველოში იმპორტიორ კომპანიებთან, ამგვარად ჩვენთან მომხმარებლები პროდუქციის საკმაოდ ფართო არჩევნს შეხვდებიან.

***– ვაზის წამლობის სქემა თუ გაქვთ შემუშავებული?***

– ვაზის წამლობის სქემა შემუშავებული არ გვაქვს, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული სქემა ყოველთვის 100 % ვერ იმუშავებს სხვადასხვა ჯიშის ვაზზე, ზოგიერთი ჯიში უფრო რეზისტენულია სხვადასხვა დაავადებაზე და მავნებელზე და პირიქით, გარდა ამისა დიდ როლს თამაშობს კლიმატური პირობები, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ ცვალებადია და ზოგ შემთხვევაში ვიღებთ ცივ ან თბილ გაზაფხულს, გვალვიან ან წვიმიან ამინდებს, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელს ე.წ. „ზურგის აპარატით“ აკეთებს მცენარის დამუშავებას თუ ტექნიკით. ტექნიკის კუთხითაც გვაქვს ცდომილებები, მოძველებული საბჭოური წარმოების ტექნიკა არათანაბრად, ხშირად დანაკარგებით ხარჯავს სამუშაო ხსნარს ფართობზე, როდესაც ევროპული ტექნიკა ამ სამუშაოს გაცილებით ეფექტიანად ასრულებს. რა თქმა უნდა გვაქვს საბაზისო რეკომენდაციები თუ რომელ მცენარის ვეგეტაციის კონკრეტულ ფაზებში რომელი პრეპარატები უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ვთვლით რომ სჯობს წამლობის სქემას სიტუაციის და მდგომარეობის შეფასების მიხედვით მივყვეთ ვიდრე წინასწარ შედგენილი სქემით.

***– ვაზის ძირითადი მავნებლების: კვირტის ჭიის, აბლაბუდიანი ტკიპას და ცრუფარიანების გასანადგურებლად ეფექტიანი პრეპარატები რომლები გაქვთ?***

– სამწუხაროდ აღნიშნულ მავნებლებს ერთი კონკრეტული პრეპარატი არ უმკლავდებათ, გარდა ამისა ფერმერებს ზოგჯერ ეშლებათ ერთმანეთში სხვადასხვა მავნებელი, ამიტომ თუ საუბარია მავნებლებით უკვე დატვირთულ ვენახზე, უმჯობესია მომხმარებელმა მოგვაწოდოს კონკრეტული დაზიანებული ფოთოლი, რომლის დიაგნოსტიკის მეშვეობით ჩვენ მოვახერხებთ ზუსტად ვნახოთ თუ რომელ მავნებელთან გვაქვს საქმე და სწორად შევურჩიოთ ჩვენს ფერმერებს ესა თუ ის პრეპარატი.

***– მევენახეები უპირატესობას ანიჭებენ გერმანული წარმოების პრეპარატებს, თქვენ თუ გაქვთ და რომლებს ურჩევდით?***

– როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჩვენ ვთანამშრომლობთ და ვანხორციელებთ სამი გერმანული ბრენდის პროდუქციის რეალიზებას, ესენია: „Basf“, Bayer Cropscience“, „DVA“, რომელთა პროდუქცია კარგადაა ნაცნობი მომხმარებლებისათვის, ყველაზე ცნობილი პრეპარატებია: „კაბრიო ტიპი, „აკრობატ მც“, „ანტრაკოლი“ „ფალკონი“, „ვერტიმექტინ ფორტე“, „დუეტ ფორტე“ და ა.შ.

***– ვაზის წამლობათა ბოლო ფაზაში მოთხოვნადი ხდება სპილენძის შემცველი პრეპარატები, თქვენ რომელს ურჩევდით?***

– საკმაოდ კარგი შედეგები გვქონდა წინა პერიოდებში თურქული „ჰექტაშის“ წარმოების „ბორდოთი“, ასევე ფრანგული „ჰელიოკუივრი“ რომელსაც გააჩნია მიმწებებელი, იტალიური „აირონი“.

***– დღეს უკვე მოთხოვნადი ხდება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რა სახის პრეპარატები შეიძლება გამოვიყენოთ ამ მიმართულებით?***

– ბიო მიმართულებით მომავალში ვაპირებთ ჩვენი ასორტიმენტის გაფართოებას. ამჟამად გაგვაჩნია ფრანგულ მწარმოებელ „Action Pen“-ის წარმოების ორი პრეპარატი, ესენია ზემოთნახსენები სპილენძის შემცველი „ჰელიოკუივრი“ და გოგირდისშემცველი „ჰელიოსუფრი“, ორივე პროდუქტს დამატებული აქვს ფიჭვის ექსტრაქტი რომელიც ასრულებს მიმწებებლის როლს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნალექიან ამინდებში. აღნიშნული ორი პროდუქტი აქტიურად გამოიყენება ე.წ. „ბიოვენახებში“, მათ შორის ისეთი ცნობილი კომპანიების მიერ როგორებიცაა „შატო მუხრანი“ და „GWS“.

***– გასული წლის შედეგით თუ არიან კმაყოფილი და როგორ აფასებენ თქვენგან შეძენილი პრეპარატების ეფექტიანობას მევენახეები?***

– გასულ წელს კონკრეტულად ყვარლის რაიონში ჩვენი მაღაზია მდებარეობდა სოფელ ზინობიანში. დადებითმა გამოხმაურებებმა და შეფასებებმა ჩვენ მოგვცა იმის ბიძგი და სტიმული რომ გადაგვედგა ნაბიჯი და გაგვეკეთებინა ფილიალი უფრო სტრატეგიულ ადგილას ქალაქ ყვარლის შესასვლელში, სადაც განლაგებულია უამრავი სხვა კომპანიის ქსელური თუ არაქსელური მაღაზია. ჩვენ გვჯერა რომ სწორი მიდგომით, ფასთა პოლიტიკით და მუშაობით გავხდებით ერთ-ერთი წარმატებული ქსელი საქართველოში და ყვარლის ფილიალი იქნება ძალიან წარმატებული ნაბიჯი კომპანიის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე.

***– ხელშეკრულების გაფორმება თუ შესაძლებელია თქვენს კომპანიასთან და რომელი ბანკის მეშვეობით?***

ჩვენს კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია „კრედო ბანკის“, „კრისტალის“ და „ლიბერთი ბანკის“ მეშვეობით.

***– კიდევ რას ურჩევდით მევენახეებს?***

– ვურჩევდი რომ თავი შეიკავონ გაურკვეველი წარმოების პრეპარატების გამოყენებისაგან, იმიტომ რომ ამან ზოგჯერ შეიძლება დააზიანოს როგორც ვაზის ასევე შემდგომში ყურძნის და საბოლოო ჯამში ღვინის ხარისხი, რის გამოც საერთაშორისო ბაზარზე ჩვენს ნაწარმზე მოთხოვნა დაეცემა, რაც უშუალოდ აისახება ყურძნის ფასზე მომდევნო წლებში. როგორც ზოგადად ყველა, ასევე კონკრეტულად ამ საკითხს კომპლექსური მიდგომა სჭირდება, ერთწლიანმა ფინანსურმა წარმატებამ შეიძლება მომდევნო წლებში კრიზისი გამოიწვიოს და ამისათვის გონივრულად უნდა მივუდგეთ ყველა საკითხს იმპორტიორებიც, რეალიზატორებიც და საბოლოო მომხმარებლებიც.

გარდა ამისა მინდა დავამატო რომ ჩვენი ქსელის მაღაზიებში თქვენ მხოლოდ შხამქიმიკატებს არ ნახავთ, ჩვენ ასევე ვახორციელებთ მაღალი ხარისხის სასუქების, სათესლე მასალების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაწილებისა და ინვენტარის რეალიზაციას საკმაოდ მისაღებ ფასებში, ასევე დროდადრო გვაქვს აქციები სხვადასხვა პროდუქციაზე. ასე რომ გელით ჩვენს მაღაზიაში!

წარმატებულ და უხვმოსავლიან წელს ვუსურვებ თქვენს მკითხველებსა და ჩვენს საყვარელ ფერმერებს!

***– დიდი მადლობა ბატონო თემო საინტერესო ინტერვიუსთვის.***

მევენახეებო, ვაზის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ეტაპი იწყება, უხვ მოსავალს კი მხოლოდ ხარისხიანი პრეპარატების გამოყენებით შეძლებთ.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ლიმონის კიდევ ერთი კარგი თვისება, იგი ანახევრებს შეცდომებს

ჩვენ სიამოვნებით ვდებთ ლიმონის ნაჭერს, ჩაიში ან ყავაში, რადგან ეს გემრიელია. ისიც ვიცით, რომ ლიმონი არამარტო გემრიელი, არამედ ძალიან სასარგებლო ციტრუსია.

ლიმონის ნაყოფი შეიცავს: მჟავებს 3,5-8,1%, შაქრებს – 1,9-3%, C ვიტამინს 45-140 მგ 100 გ-ში, აგრეთვე P და B ვიტამინებს, პექტინოვან ნივთიერებებს, რკინის მარილებს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმსა და მაგნიუმს.

ლიმონის კიდევ ერთი კარგი თვისება მისი არომატია. რომელიც ძალიან აქტუალური პრობლემის დროს დაგვეხმარება.

კომპიუტერთან დიდხანს მუშაობის ან გართობის დროს, ძალიან დიდი დატვირთვას იღებენ თვალები. ეს კი თავის მხრივ აისახება ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე, მცირდება შრომისუნარიანობა.

შედეგად ადამიანის ფიქრისა და ყურადღების კონცენტრირების უნარი შეიძლება 90%-ით შემცირდეს, ყოველივე ამას კი საბოლოოდ ნერვული სისტემის გადაღლამდე და გამოფიტვამდე მივყავართ.

იაპონელემა ფსიქოლოგებმა კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის-მავნე ზემოქმედების შემცირება, სამუშაო ოთახის სხვადასხვა არომატით გაჯერების ხარჯზე სცადეს, კვლევებმა აჩვენეს რომ, ლიმონის, ჟასმინის, შროშანის და ევკალიპტის არომატი, ამაღლებს შრომისუნარიანობას, ხსნის დაღლილობას, თვლემას...

გამოირკვა რომ ოთახში შროშანის სურნელი 20%-ით ამცირებს შეცდომებს კომპიუტერის კლავიატურაზე მუშაობისას, ჟასმინის არომატი უფრო ეფექტურია 30%.

საუკეთესო კი ამ კუთხით ლიმონია (50%), იგი ანახევრებს შეცდომებს, ამიტომ იმ შემთხვევაში თუ დიდ დროს ატარებთ კომპიუტერთან, გირჩევთ იქვე დაჭრილი ლიმონი დადოთ.

https://agrokavkaz.ge/

# როზიზონ ოდიკაძის გახსენება

## ძალიან მიმძიმს...



დამრჩა მხოლოდ მონატრება იმ კაცისა, რომელმაც იშრომა, იღვაწა, იცხოვრა და თან წაიღო უამრავის დაუშრეტელი ცრემლი.

ერთი წელი გავიდა იმ ავბედითი დღეებიდან, როდესაც მიწას მივაბარეთ შენი სპეტაკი სული და სხეული – ეს იყო 8 მარტი, რომელიც ჩვენი ერთად ყოფნის პერიოდში ყველაზე მწარე, მოულოდნელი და მოუნელებელი იყო; მხარი მომტეხე, სიამაყე წამართვი, შენი მხრიდან იმედი გადამეწურა ჩემო რობიკო!

უკვე ერთი წელი გავიდა უშენოდ, ჩემთვის თითქმის საუკუნეა, დიდი და განუზომელია, მარად რჩები ჩემს გულში ჩემო ერთადერთო სიყვარულო. ამბობენ დრო მკურნალიაო. არა, დრო არ ყოფილა მკურნალი; შენი გარდაცვალების შემდეგ სული იწვის, გული მეფერფლება. დასანანია, რომ უცბად თოვლის ფიფქივით გამიქრი ჩემო ლამაზო ბიჭო. ძალიან ენატრები შენს შვილიშვილებს: ნატალიას და იოანეს, ხშირად გიხსენებენ, ახსოვთ შენი ამაგი, ისინი მანუგეშებენ – ბებო, პაპას სული ცაშია, უფალთან, ნუ ტირიხარო. მხოლოდ მათთვის უნდა ვიცოცხლო. გზა დაულოცე შენს ერთადერთ ვაჟს – თორნიკეს, რომელიც გულჩათხრობილი გახდა და შენს სავალ გზას ლოცულობს. ნათელი და სანთელი შენს ლამაზ სულს. ამიერიდან ჩაეხუტე შენს უდროოდ წასულ დას, დეიდაშვილს და მშობლებს.

შენმა ახალგაზრდობამ, დღემან პირმომცინარემ განვლო ვით გაზაფხულის შფოთიანმა მდინარემ, მაგრამ დრო გადასული, გული ისევ გულია, არ გეგონოს ეს წლები უქმად დაკარგულია.

ვიცი ეს წლები მოგაგონებს უნეტარეს ხალხს, დღეღამეების ისევ ისე მიჰყვება დასი, ვიცი არასდროს მოგწყინდება შენ ჩვენთან ყოფნა, ჩვენც სადღეგრძელოდ უცილობლად ავწიოთ თასი, ავწიოთ თასი და ვადღეგრძელოთ კაცი, რომელიც უხდებოდა სოფელს.

გზა დაულოცე კეთილო ადამიანო: მამავ, პაპავ და მეუღლევ ყველა დამრჩენს.

ნათელი და სანთელი შენს ლამაზ სულს.

**მეუღლე თამარ გურამიშვილი,**
**ვაჟი თორნიკე ოდიკაძე,**
**შვილიშვილები: იოანე და ნატალია ოდიკაძეები**

# საით წახვედით, ჩემო ბიჭებო!

ჩემო ბიჭებო, ხშირად მომეძალება ხოლმე ფიქრი თქვენზე. გულს ყველაფერი ახსოვს... სურს, ამოთქვას თავისი ტკივილი, მაგრამ კალამსაც უჭირს პწკალის გავლება.

თითქოს ყველაფერი გუშინ იყო. თქვენი კლასი სკოლაში კი არა, რაიონშიც გამოირჩეოდა სწავლით, მეგობრებითა და ერთმანეთისადმი სიყვარულით.

ჩემთვის ზეიმს წარმოადგენდა თქვენს კლასში გაკვეთილის ჩატარება. გამორჩევით გიყვარდათ პოეზია, ერთმანეთს ეჯიბრებოდით ლექსის თქმაში, ხარობდით და მეც მახარებდით.

მეხუთე კლასიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით გაზაფხულის მოსვლას მასწავლებლის მაგიდაზე დადებული იის კონები მამცნობდა ხოლმე. ეს ჩვენი ცისფერთვალა ოთარის ნამოქმედარი იყო.

ოთარ ბიქოევი – ჩემო ძვირფასო, ყველაზე ადრე შენთვის გაჩერდა დროის მატარებელი. სამხედროდან ოჯახის სანახავად წამოსულს კახეთის გზაზე დაგენია ბედი მდევარი. ძნელია ამ განცდებზე საუბარი, რაც დაგვეუფლა ჩვენ – შენს მასწავლებლებსა და მეგობრებს. სუნთქვა გვიჭირდა, სიტყვის თქმას ვერ ვბედავდით, თითქოს ერთმანეთთან უბრად ვიყავით. სანუგეშებელ სიტყვასაც კი ვერ ვპოულობდით შენი საყვარელი დედისთვის რომ გვეთქვა. შენგან მოყენებული ჭრილობა ვერ მოვიშუშეთ, რომ იმ ავბედით დღეს ჩაქრა ჩვენი ზაზასი და ლამაზი ნინოს სიცოცხლე.

ზაზა ზურიაშვილი – ნიჭიერი, ენერგიული, მოუსვენარი, გურამ რჩეულიშვილზე უსაზღვროდ შეყვარებული. მანამდე იკამათებდა, სანამ მოპირდაპირეს არ დაარწმუნებდა თავისი სიტყვების ჭეშმარიტებაში.

ვფიქრობ ზაზაზე და ჩვენი სასკოლო ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი მაგონდება. მაშინ ჩემი გოგო-ბიჭები მე-6 კლასში იყვნენ. სანიმუშოდ იქცეოდნენ და შევპირდი, რომ დამამთავრებელ კლასში საქართველოს ფარგლებს გარეთ წავიყვანდი ექსკურსიაზე. დავინახე, ზაზა რაღაცას წერდა. მომიტანა და მთხოვა, ხელი მომეწერა. დავხედე რვეულის ფურცელს, რომელსაც სათაურად ეწერა ხელწერილი. შინაარსი ასეთი იყო: „მე, ზეინაბი მასწავლებელი, პირობას ვიძლევი, რომ დამამთავრებელ კლასში ექსკურსიაზე წაგიყვანთ საქართველოს ფარგლებს გარეთ“. ხელწერილს ხელი მოვაწერე.

დრომ ამ შემთხვევასაც დავიწყების ფერფლი მიაყარა.

ჩემი ბავშვები გაიზარდნენ. უკვე დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები იყვნენ. ერთ დღეს გაკვეთილზე შესულს მასწავლებლის მაგიდაზე წლების წინ დაწერილი ხელწერილი დამხვდა. თურმე რამდენი წელი ინახავდნენ და ალბათ ელოლიავებოდნენ კიდეც მათთვის საოცნებო საბუთს.

ეს ის პერიოდი იყო, როცა განათლების მინისტრად დაინიშნა ქალბატონი ნათელა ვასაძე, რომელმაც გახშირებული ავარიების გამო ექსკურსიები აკრძალა. მაინც წავედი განათლების სამინისტროში ჩემს ხელწერილთან ერთად. ქალბატონმა ნათელამ, როცა წაიკითხა მეექვსე კლასელების მიერ დაწერილი ხელწერილი, გაიცინა და სტალინგრადში წასვლის უფლება მოგვცა.

მინისტრის თანხმობით დავბრუნდი ყვარელში. ბედნიერებისგან ყველას თვალები გიციმციმებდათ, ჩემო ბიჭებო! ძალიან ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, მაგრამ სიკვდილის ცელი ახლა ჩვენს ვაჟას შეეხო.

ვაჟა სეფაშვილი – ვაჟას ოჯახი და მისი ღიმილიანი დედა – ელიზა მასწავლებელი ყოველთვის თბილი მასპინძელი იყო. თქვენც გიყვარდათ იქ მისვლა, საუბარი და ზოგჯერ თქვენებური ლამაზი ქეიფიც. ვაჟა ხომ ყველას მესაიდუმლე, მრჩეველი და გვერდში მდგომიც იყო. საოცარია, როგორ იტევდა მისი გული ამდენ სიყვარულს. აკი ვეღარ გაუძლო და ერთ ავბედით დღეს, უმტყუნა კიდეც. ცალუღელად დარჩენილი დედის იმედად დატოვა თავისი დიდი სიყვარული მზია და ერთადერთი ვაჟკაცი – სოსიკო.

დროის მატარებელი კვლავ მიქროდა და მიქროდა. კლასის უნიჭიერესი მოსწავლე – დათო ზურაბიშვილი კი, სარეცელს მიჯაჭვული, ვერ გრძნობდა დროის ცვალებადობას.

დათო ზურაბიშვილი – საოცარი ნიჭის პატრონი, მას ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახდნენ. ჩემო დათო, კლასში ასაკით ყველაზე პატარა იყავი, ალბათ ამიტომ განსაკუთრებით გიფრთხილდებოდნენ მეგობრები. კლასში რომელიმე საკითხზე თუ დავა დაიწყებოდა, ყველა შენს დასკვნით სიტყვას ელოდებოდა. წყნარად, დინჯად, მიუკერძოებლად იტყოდი სათქმელს და ყველაფერი მთავრდებოდა.

გვაპატიე, თუ ვერ განხულობდით. ძალიან გვიჭირდა, მაგრამ სულიერად ყოველთვის შენთან ვიყავით.

ჩემო ბიჭებო, თქვენი სახით არა მარტო ოჯახებმა, რაიონმა, არამედ მთელმა საქართველომ დაკარგა უნიჭიერესი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდები, თქვენ ჩვენი ქვეყნის თვალყურმადევრებიც იყავით და ყველა მოვლენას აქტიურად ეხმაურებოდით.

საით წახვედით, ჩემო ბიჭებო! როდესაც თეთრი ღრუბლები ქარებს გაფანტავს, იცოდეთ, ბურუსებშიც კი გაგვახსენდებით. თქვენ ყოველთვის კახური „მრავალჟამიერივით“ ხმიანნი და წინმსრბოლნი იყავით. თქვენ უნდა გესაუბრათ ჩვენს შესახებ, თქვენ უნდა აგენთოთ სანთლები ჩვენთვის, მაგრამ, სამწუხაროა, ასე ინება არსთა გამრიგემ.

არ იფიქროთ, რომ თქვენგან დარჩა მხოლოდ პატარა რვეულები, ბალახები, ყვავილები სასაფლაოზე და ქვები ზედ წარწერებით. არა, თქვენგან დარჩა მოგონებები იმ ბიჭებზე, რომლებიც ჭაბუკებად დარჩნენ მარად.

მიმაჩნია, რომ სწორედ თქვენი ცხოვრების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები.

**თქვენი ზეინაბი მასწავლებელი**



# რატომ ჯობს ლობიოს ცხელ წყალში ჩალბობა მომზადებამდე და რატომ არ არის სასურველი ხორცისა და რძის პროდუქტების ერთად მირთმევა

ექიმი ნუტრიციოლოგი, კვების ეროვნული ცენტრის დირექტორი მარი მალაზონია გადაცემაში „პირადი ექიმი“ განმარტავს, რატომ უნდა ჩავალბოთ ლობიო მომზადებამდე ცხელ წყალში და რა სარგებელს მოუტანს ეს ჩვენს ორგანიზმს:

– როდესაც ლობიოს ვიყენებთ, მასთან ერთად B ჯგუფის ვიტამინებს ვიღებთ, რომელიც მასში დიდი რაოდენობითაა. ასევე, გამომშრალ ლობიოშია რკინა, გარკვეული რაოდენობით კალციუმი და მაგნიუმი. გარდა ამისა, ლობიო მცენარეული ცილის წყაროა. მას მხოლოდ ერთი ამინომჟავა აკლია და მისი შევსებაც შეიძლება, თუ პურს ან მჭადს მივატანთ. მრავალი სასარგებლო თვისება აქვს. მაგრამ, ამავე დროს გეტყვით, რომ ლობიოში საკვები ნივთიერებების საწინააღმდეგო ნივთიერებები, ანტინუტრიენტებიცაა, რომელთა დამსახურებითაც შეიძლება მასში არსებული რკინა ორგანიზმმა ვერ შეიწოვოს, თუ სწორად არ მოვიქცევით. ამ ნივთიერებებს ფიტატები ჰქვია და ორგანიზმს მისგან გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ წინასწარ თადარიგს დავიჭერთ და ლობიოს წყალში ჩავალბობთ. რასაკვირველია, შეგვიძლია, ლობიო მდუღარე წყალში ჩავყაროთ და ვადუღოთ, ცივ წყალში ჩავყაროთ, გაზზე შემოვდგათ და ასე მოვამზადოთ კერძი. მაგრამ, კიდევ უფრო სწორად მოვიქცევით, თუ ლობიოს წინასწარ ცხელ წყალში ჩავალბობთ, შემდეგ წყალს გადავწურავთ და მოვხარშავთ. დანაკარგი გვექნება, მინერალების გარკვეულ ნაწილს ვკარგავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ორგანიზმს ფიტატებისაგან უფრო მეტად დავიცავთ და მისთვის რკინის მიწოდებას გავაძლიერებთ. თუ წინასწარ ჩამბალი, დარბილებული, გაფუებული ლობიოს გადაწურვის შემდეგ დავიწყებთ კერძის მომზადებას, უკეთესია. ეს არის ის სწორი გზა, რომელიც ასევე გამოგვადგება მარცვლეულისა და ბურღულეულის შემთხვევაშიც. ჩვენმა წინაპრებმა ფიტატებისა და ანტინუტრიენტების შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ როდესაც უნდოდათ, რომ ხორბლისგან კერძი მოემზადებინათ, მას წინასწარ ალბობდნენ. ამაშია ის გამოცდილება, რომელიც სამეცნიერო თვალსაზრისით დადასტურებულია.

გარდა ამისა, „პირადი ექიმის“ გვერდზე გამოქვეყნებულია კიდევ ერთი სასარგებლო ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, ხორცის და რძის პროდუქტების ერთდროულად მირთმევა რატომ არ არის მიზანშეწონილი:

„ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, საკვები პროდუქტების შიგნით ვიტამინებისა და მინერალების ურთიერთდაპირისპირება. მაგალითად, რკინა ადვილად შეითვისება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან, ხოლო რძე კალციუმის შეუცვლელი წყაროა, მაგრამ თუ ერთდროულად გამოვიყენებთ ხორცპროდუქტს და რძის ნაწარმს, ჩვენ რისკის ქვეშ ვაყენებთ ჩვენი ორგანიზმის უზრუნველყოფას კალციუმით და რკინით, რადგან ამ ორ ელემენტს შორის არის დაპირისპირება და ჩვენს ორგანიზმს უწევს აირჩიოს, თუ რომელი შეიწოვოს. სასურველია, ხორცს ყველი არ მივაყოლოთ და მათ მიღებებს შორის, მინიმუმ, ორ საათიანი ინტერვალი დავიცვათ.“ – წერია გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

# ანტაგონისტები მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ

მიკროორგანიზმებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში. განსაკუთრებით ეს მკვეთრად გამოხატულია ნიადაგის მიკროფლორის წარმომადგენლებს შორის.

არა მხოლოდ სოკოები და აქტინომიცეტები, არამედ ნიადაგში საპროფიტულად მცხოვრები მრავალი ბაქტერიები ანტაგონისტურ დამოკიდებულებაშია სოკოებთან და ბაქტერიებთან, მათ შორის მცენარის პათოგენებთანაც. მაგალითად, კიტრის ფოთლების კუთხოვანი ლაქიანობისა და პამიდორის ბაქტერიული კიბოს ინტენსივობის შემცირება გამოწვეულია ნიადაგის ანტაგონისტი ბაქტერიებით.

მცენარეთა ფესვების ლპობის გამომწვევი სოკოების – Rhizoctonia-ს, Fusarium-ის და სხვათა აქტივობა იზღუდება ნიადაგში მყოფი ანტაგონისტი სოკოს – Trichoderma-ს მოქმედებით. დადგენილია, რომ ნიადაგში მცხოვრები აქტინომიცეტების ნახევარზე მეტი ითვლება ანტაგონისტებად. მაგრამ მათი რაოდენობა დიდადაა დამოკიდებული ნიადაგის პირობებზე – მჟავიანობაზე, ტენიანობაზე, ტემპერატურაზე, დამუშავებაზე, გამოყენებულ სასუქებზე და სხვ.

მნიშვნელობა აქვს ასევე მცენარის სახეობას, რომელიც იზრდება მოცემულ ნაკვეთზე. ერთი სახეობის მცენარის რიზოსფეროში ანტაგონისტი სოკოების, ბაქტერიების და აქტინომიცეტების დაგროვება მეტია, სხვა სახეობის რიზოსფეროში კი – მცირე. მაგალითად, იონჯის რიზოსფეროში მკვეთრად იზრდება ისეთი ანტაგონისტი ბაქტერიების რიცხვი.

ანტაგონისტები წარმოქმნიან ანტიბიოტიკებს, რაც განაპირობებს ანტაგონიზმს. ისინი იჭრებიან მცენარეში ფესვთა სისტემიდან და მოქმედებენ ჭურჭლოვან სისტემაში მყოფ დაავადებების გამომწვევებზე. ანტაგონისტები იწვევენ პათოგენური სოკოების ჰიფების ლიზისს, რაც განპირობებულია მათ მიერ გამოყოფილი ანტიბიოტიკების ან ფერმენტების მოქმედებით.

ორგანიზმებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება რომ გამოვიყენოთ დაავადებისაგან მცენარეთა დაცვაში, საჭიროა გავითვალისწინოთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

1) გარემო პირობების შეცვლა, განსაკუთრებით კვების პირობები, რომ მოხდეს ანტაგონისტის განვითარების სტიმულირება;

2) ჩართული იქნას ანტაგონისტის ახალი, მეტად ეფექტური სახეობები ან შტამები;

3) გამოყოფილი და იდენტიფიცირებული იქნას ანტიბიოტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ ანტაგონიზმს.

ანტაგონისტები გვხვდებიან სოკოების, ბაქტერიების, აქტინომიცეტების და სხვა მიკროორგანიზმებს შორის. ფიტოპათოგენური სოკოების მიმართ ანტაგონისტები შეიძლება იყვნენ სხვა სოკოები, ისევე როგორც ბაქტერიები და აქტინომიცეტები. ვირუსები შეიძლება გამოყენებული იქნას სოკოების წინააღმდეგ. ბაქტერიები მწერებისა და სოკოების წინააღმდეგ. სოკოები სოკოების, მწერებისა და ნემატოდების წინააღმდეგ.

დადგენილია, რომ სოკო Trichoderma დიდი რაოდენობით წარმოქმნის მაღალტოქსიკურ ანტიბიოტიკებს: გლიოტოქსინს, ვირიდინს, ტრიქოდერმინს, საცუკალინს და სხვ. ამ ანტიბიოტიკების საშუალებით სოკო ახდენს ისეთი ფიტოპათოგენური სოკოების განვითარების შეზღუდვას, როგორებიცაა: Verticillium dahliae kleb. (მცენარეთა ვერტიცილოზური ჭკნობის გამომწვევი); Fusarium sp. (მარცვლეულის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების ფესვის სიდამპლის გამომწვევი); Sclerotinia sclerotiorum (კიტრის სკლეროტინიოზის გამომწვევი).

ნიადაგი შეიძლება ხელოვნურად გავამდიდროთ ანტაგონისტი სოკოებით და ბაქტერიებით მასში სუფთა კულტურების ან კომპოსტების შეტანის გზით. ასეთი კომპოსტი, რომელიც გაჟღენთილია სოკო – Trichoderma lignorum-ით გამოიყენება მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბოსტნეული კულტურების დაავადებათა წინააღმდეგ დახურულ გრუნტში.

ანტაგონისტების გარდა, მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სოკოვან და ბაქტერიულ შტამებზე დამზადებული ბიოფუნგიციდები (ყანჩაველი, კიკორია, რეხვიაშვილი, 2013; კაკაბაძე, ყანჩაველი, 2014).

ძირითადად შესწავლილია ნიადაგის ისეთი ანტაგონისტები, რომლებიც გამოიყენებიან ფესვების დაავადებების წინააღმდეგ. მაგრამ უეჭველია მათ აქვთ მნიშვნელობა იმ პათოგენების მიმართ, რომლებიც იწვევენ ღივების, მიწისზედა ორგანოების და ნაყოფების დაავადებას.

ანტაგონისტი ბაქტერიები და სოკოები ლაბორატორიულ პირობებში აღნიშნულია თესლებზე, ფოთლებზე, ყვავილის ფურცლებზე და მცენარეთა სხვა ორგანოებზე. მაგრამ, არ არის ცნობილი თუ როგორ მოქმედებენ ისინი ბუნებრივ პირობებში. თესლის ეპიფლორის განვითარების სტიმულაცია ზოგჯერ იწვევს დაავადების შემცირებას. მსგავს მოვლენებს აქვთ ადგილი Botritis cinerea-ს მიმართ ღორის ქადაზე და პამიდორის ნაყოფებზე.

მიწისზედა ანტაგონისტებს ეკუთვნიან ასევე ბაქტერიოფაგები. ბაქტერიოფაგი, ეს არის ტიპიური უჯრედშიდა პარაზიტი, რომელიც ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფება ბაქტერიულ უჯრედთან. ზოგიერთები თვლიან, რომ ბაქტერიოფაგი არის ვირუსი, რომელიც აავადებს ბაქტერიულ უჯრედს. ბაქტერიოფაგები ფართოდ არიან გავრცელებული ბუნებაში, თითქმის ყველგან სადაც კი არსებობენ ბაქტერიები.

ბაქტერიოფაგების გამოყენება მცენარეთა ბაქტერიული დაავადების წინააღმდეგ შეიძლება სხვადასხვა გზით. კერძოდ, თესლის ან ჩითილების ფესვების ჩალბობა ხსნარში, რომელიც შეიცავს ბაქტერიოფაგს. ასეთი ხსნარით მცენარეების მორწყვა, შეწამვლა ან ბაქტერიოფაგის მცენარის ქსოვილებში შეყვანა.

არსებობს ბაქტერიები, რომლებიც ანტაგონისტურ დამოკიდებულებაშია მცენარის დაავადების გამომწვევ ბაქტერიებთან. ასეთი ანტაგონისტი ბაქტერიები შეიძლება გამოყენებული იქნას მაგალითად, კომბოსტოს ბაქტერიოზის წინააღმდეგ. თუ კომბოსტოს რიზოსფეროდან გამოყოფილი ანტაგონისტი ბაქტერიის შტამებს შევიტანთ ნიადაგში თესლთან ერთად, ის გაამდიდრებს ნიადაგს ანტაგონისტებით, რომელიც გამოიწვევს თესლის გაღივების სტიმულაციას და კომბოსტოს ბაქტერიებით დაავადების შემცირებას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, აქტინომიცეტები წარმოადგენენ ზოგიერთი პათოგენური სოკოების ანტაგონისტებს. მრავალი მკვლევარი ურჩევს, რომ მცენარეთა დაავადებების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ანტაგონისტი – აქტინომიცეტების სხვადასხვა შტამები. მაგალითად, კარტოფილის კიბოს წინააღმდეგ – შტამები №167, 711 და 103; პამიდორის ფუზარიოზის წინააღმდეგ – შტამი №360; კიტრის ნაცრის წინააღმდეგ – შტამი № 3034.

**შაქრო ყანჩაველი**
**/მცენარეთა პათოლოგიის საფუძვლები/. „ბიოაგროს“ სამეცნიერო ხელმძღვანელი**

# ალერგია კონტროლირებადი და ხშირად განკურნებადია



*ალერგია ეს არის მომატებული მგრძნობელობა ისეთ ნივთიერებებზე, რომლებიც წესით არ უნდა იწვევდნენ არანაირ გართულებას ადამიანის ორგანიზმისთვის.*

*თუმცა, იგი ძალიან ბევრ ადამიანს უქმნის დისკომფორტს.*

*ალერგია განსაკუთრებით თავს იჩენს გაზაფხულობით.გაზაფხული მზესთან, სითბოსთან ასოცირდება, მაგრამ ყველას ვერ ახარებს მისი დადგომა, რადგან ეს პერიოდი სხვადასხვა დაავადების გამწვავებით ხასიათდება, უპირატესად ესენია ალერგიული ან ახალი დაავადებები.*

*თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამჟამად ალერგიულია პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი და ამ ტიპის დაავადებათა გავრცელების სიხშირე, პრაქტიკულად, ყოველწლიურად მატულობს. ბოლო 20 წლის განმავლობაში ალერგიულ დაავადებათა გავრცელებამ თითქმის 50-70%-ით მოიმატა. ალერგიულ დაავადებათა მატება უფრო შესამჩნევია ქალაქში მცხოვრებ პირებში და ნაკლებად – სოფლებში, ფერმებში მცხოვრებ ოჯახებში. ამ მოვლენის მიზეზთა დეტალური ახსნა რთულია. მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეკონომიკურად დაწინაურებულ გარემოში ალერგიის მატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად მეცნიერებს ბავშვის სიცოცხლის პირველი 18 თვის განმავლობაში ანტიბიოტიკების გამოყენება მიაჩნიათ. ამასთან, რაც უფორ ფართე სპექტრისაა ანტიბიოტიკი და რაც უფრო ძლიერია იგი, ანუ რაც უფრო მაღალფასიანია, მით უფორ მეტად უწყობს ხელს ბავშვის ალერგიზაციას – ანუ ატოპიური ფენოტიპის ჩამოყალიბებას. თუ სიცოცხლის ამ პერიოდში იმუნური სისტემის გადაწყობა მოხდა იმგვარად, რომ ჩამოყალიბდა ალერგიული განწყობა, ეს მდგომარეობა მყარად რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე. ასევე გამოირკვა, რომ ალერგიული განწყობის განვითარებას ხელს უშლის დედის ძუძუთი ხანგრძლივი კვება და ამავე ასაკში ნიადაგთან და ცხოველებთან სიახლოვე. ნიადაგში არიან ბაქტერიები, ხოლო ცხოველების ქერტლში ცილები, რომლებიც იმუნურ სისტემას არაალერგიული მიმართულებით ავითარებენ.*

*ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობა. ამიტომაც, ალერგიაზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და განკურნების გზებზე გვესაუბრება ალერგოლოგი ქეთინო დვალი.*

***– ქალბატონო ქეთინო, პირველ რიგში გვესაუბრეთ, რა არის ზოგადად ალერგია და რამდენი სახის შეიძლება არსებობდეს?***

– ალერგიის ცნებაში იგულისხმება ორგანიზმის აწეული მგრძნობელობა რაიმე ნივთიერების მიმართ, რომელსაც ის აღიქვამს როგორც „უცხო"-ს. მას ანტიგენი ეწოდება.

ალერგიული დაავადებების ორი დიდი ჯგუფი არსებობს:

ა) ალერგიული დაავადებები, რომლებიც ვითარდება გარემოში არსებული ალერგენებით;

ბ) აუტო ალერგიული დაავადებები, რომელთა განვითარების საფუძველი არის საკუთარი ქსოვილების ანტიგენები.

***– როგორ და რატომ ვლინდება ალერგია, რა იწვევს მას?***

– ორგანიზმის ზემგრძნობელობა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ალერგიული დაავადება ყალიბდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო ორგანოების ისეთი დაზიანება, რომელიც დაავადების კრიტერიუმებს ემთხვევა. უცხო ნივთიერების, ანუ ანტიგენის შეჭრის შემდეგ ორგანიზმი ცდილობს საწინააღმდეგოდ გამომუშავებული ანტისხეულების მეშვეობით, მის მოცილებას ან განეიტრალებას. ეს რთული თავდაცვითი ბიოქიმიური პროცესი, თუ ის დამცავი ანტისხეულების წარმოქმნით დამთავრდა, მას იმუნიტეტის გამომუშავება ეწოდება. მაგრამ თუ პროცესმა რეაქტიული ანთების სახე მიიღო, ზიანდება თვით ორგანიზმი – ყალიბდება ალერგიული დაავადება. დაავადების სიმპტომებია: ბრონქოსპაზმი, ანაფილაქსია, კანის ქავილი, გამონაყარი, ცემინება, ფაღარათი და სხვა.

ალერგიის გამომწვევი შეიძლება იყოს ყველაფერი გარდა გლუკოზისა და ფიზიოლოგიური ხსნარისა.

***– ალერგია დაავადებად ითვლება?***

– ალერგია დაავადებაა, ის რთული ბიოქიმიური, პათოიმუნოლოგიური პროცესებით მიმდინარეობს.

***– სეზონური ალერგია რას ნიშნავს?***

– ალერგიულ დაავადებას შეიძლება სეზონური გამოვლინება ჰქონდეს. ყველაზე გავრცელებული დაავადება სეზონური ალერგიული რინიტია, რომელსაც საინჰალაციო ალერგენები: მცენარეების მტვერი, სოკოს სპორები იწვევს. ჩვენს ქვეყანაში ალერგია სამ სეზონად იყოფა:

– გვიანი ზამთარი, ადრე გაზაფხული;

– გვიანი გაზაფხული – ზაფხული;

– ზაფხულის ბოლო – შემოდგომა.

შექმნილია აეროალერგენების კალენდარი, ასევე აერობიოლოგიური მეთვალყურეობის სამსახური. საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი ალერგოლოგებთან ერთად საინფორმაციო საშუალებებით მოსახლეობას თვეში რამოდენიმეჯერ აწვდის ინფორმაციას მაღალი ალერგიული პოტენციის მცენარეთა ჰაერში შეწონილი მტვრის მოსალოდნელი ან არსებული კონცენტრატის შესახებ, რაც პაციენტს საშუალებას აძლევს მიმართოს დაავადების პრევენციას.

***– რა როლს თამაშობს საცხოვრებელი ადგილი ალერგიის განვითარებასა და გამწვავებაში?***

– ალერგიის განვითარება და მისი მიმდინარეობის სიმძიმე უშუალოდ არის დამოკიდებული საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიასა და ცხოვრების პირობებზე. მაგალითად ნესტიანი სახლი გვიან დაწყებული ასთმის ხშირი მიზეზია. მცენარეთა ენდემური განაშენიანება შეიძლება ზოგისთვის პოლინოზის მიზეზი იყოს.

***– არის თუ არა ალერგია განკურნებადი?***

– ალერგია კონტროლირებადი და ხშირად განკურნებადია. ალერგენსპეციფიური დესენსიბილიზაცია არის ალერგენების აღმავალი დოზებით მკურნალობის მეთოდი, რომელიც უწყვეტად დაახლოებით სამი წელი გრძელდება და განკურნებით მთავრდება.

***– შეიძლება თუ არა, რომ ალერგია იყოს გენეტიკური?***

– ალერგია გენეტიკური დაავადებაა, რომელიც ფენოტიპურად ყოველთვის არ ვლინდება. შეიძლება იყოს შეძენილიც სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო.

***– როგორ ხდება ალერგიის დიაგნოსტიკა?***

– ალერგიის დიაგნოსტიკა ნიშნავს – საფუძვლიანად შეკრებილ ანამნეზს, განსაკუთრებით მედიკამენტოზური ალერგიისას დამნაშავე მედიკამენტის გამოსავლენად. – კანის სინჯები, ლაბორატორიული კვლევები.

***– ზაფხულის დადგომისთანავე, აქტუალური ხდება მზისგან გამოწვეული ალერგიები. იქნებ გვესაუბროთ კონკრეტულად მზისგან გამოწვეულ ალერგიაზე და როგორ შეიძლება თავის დაცვა მისგან?***

– დიახ, ჩვენი საყვარელი მზე, რომლის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია, ზოგჯერ იწვევს ჭინჭრის ციებას, ვლინდება დასხივებიდან 1-3 წუთის განმავლობაში და უკუვითარდება 1-3 საათში. მას იწვევს სინათლის სპექტრის მხოლოდ ექვსი სხვადასხვა სიგრძის ტალღა. აქედან მხოლოდ ერთს შეუძლია ალერგიის გამოწვევა, დანარჩენი ფიზიკური ფაქტორითაა განპირობებული. ადამიანებს, რომლებსაც მზის მიმართ ასეთი რეაქციები აქვთ, უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური დამცავი საშუალებები. არსებობს კანის დამცავი კრემების ფართო ასორტიმენტი.

რაც უპირველესად აღსანიშნავია, ალერგიული დაავადებების გამოვლენის ან მასზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში აუცილებელია სპეციალისტის კონსულტაცია და მკურნალობის ხანგრძლივი პერიოდის გეგმის შედგენა. ძალიან მნიშვნელოვანია დაავადების დროული დიაგნოსტიკა, მაგალითად ხველა, რომელიც 3-4 კვირაზე დიდხანს გრძელდება, ძალიან ხშირად, ასთმის მსუბუქი ფორმის გამოვლინებაა და არც თუ იშვიათია, რომ პაციენტს უკეთდება ბრონქიტის დიაგნოზი და უტარება ანტიბიოტიკოთერაპია, რაც საბოლოოდ უფრო ამძიმებს მდგომარეობას. უფრო მეტიც, თუ პაციენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში ორ ან მეტჯერ დაესვა ბრონქიტის დიაგნოზი, დაახლოებით 60%-ში მოსალოდნელია, რომ საქმე გვაქვს მსუბუქად მიმდინარე ასთმასთან. არა მხოლოდ სუნთვის გაძნელება და ხმაურიანი სუნთქვა, არამედ ხშირი და გახანგრძლივებული (10 დღეზე მეტი) „გაციებაც" ასთმის შესაძლო არსებობის მაჩვენებელია. ასეთ შემთხვევაში ხშირად დიაგნოზი არ კეთდება სწორად, რის გამოც პაციენტს წლების განმავლობაში შეიძლება აღენიშნებოდეს არადიაგნოსტიკური ასთმა, რაც საბოლოოდ მძიმე ფორმის დაავადების ჩამოყალიბებით მთავრდება. ადრე და სწორად დაწყებული მკურნალობა კი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს დადებით შედეგს.

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

# თესლბრუნვა და მისი როლი მცენარეთა დაცვაში






წლიდან წლამდე ერთი და იმავე სახეობის მცენარის ერთსა და იმავე ნაკვეთზე წარმოების შედეგად, ნიადაგში პათოგენები შეიძლება დაგროვდეს იმ რაოდენობით, რომ კულტურის მოყვანამ დაკარგოს ეკონომიკური აზრი, თუ მიმღებიანი ჯიშები არ იქნება შეცვლილი გამძლე ჯიშებით. ასეთი დაავადებების მაგალითად ითვლება: სელის ჭკნობა, კარტოფილის ქეცი, კომბოსტოს სიყვითლე, მზესუმზირას თეთრი სიდამპლე და სხვ. შეიძლება ზოგიერთი პათოგენი არსებობდეს ნიადაგში მთავარი პატრონ-მცენარის გარეშე ერთიდან 10 წლამდე და უფრო მეტიც.

მონოკულტურის შემთხვევაში, ისეთი პათოგენებიც კი, რომლებიც არ არსებობენ ნიადაგში, მაგალითად ხორბლოვანთა ზოგიერთი გუდაფშუტების გამომწვევები, კარტოფილის ფიტოფტოროზის გამომწვევი, მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ვირუსული დაავადებები ავლენენ ძლიერ მავნეობას. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ინოკულუმის რაოდენობის გადიდებით, პატრონ-მცენარის განმეორებითი დაავადებით, სარეველა მცენარეების არსებობით და გადამტანი მწერების პოპულაციათა ზრდით. ინფექციის ზრდას შეიძლება ჰქონდეს არამარტო ადგილობრივი მნიშვნელობა, ვინაიდან პათოგენები ნაკვეთებიდან შეიძლება გავრცელდნენ მეზობელ ფართობზე.

თესლბრუნვა აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად, სტრუქტურის გასაუჯობესებლად, ნიადაგის წყლის შეკავების უნარის გასაზრდელად და დაავადებებისაგან გამოწვეული დანაკარგებისაგან დასაცავად.

ეს ღონისძიება გამორიცხავს პათოგენების დაგროვების შესაძლებლობას მინდორში, ზღუდავს და ლიკვიდირებას უკეთებს საინფექციო საწყისის მარაგს ნიადაგში. ამ დროს ერთ წელზე მეტს არ აჩერებენ ერთსა და იმავე კულტურას ერთ მინდორზე. ცდილობენ ისე განალაგონ კულტურები თესლბრუნვაში, რომ წინამორბედი კულტურა და შემდგომი კულტურა არ ავადდებოდნენ საერთო დაავადებებით, რომელთა გამომწვევ პათოგენებს შეუძლიათ გამოიზამთრონ ნიადაგში და შემდგომ წელს დააავადონ ახალი კულტურა.

აუცილებელია ყოველი კულტურა, განსაკუთრებით ის კულტურები, რომელთაც აქვთ საერთო დაავადებები, დაბრუნდნენ ყოფილ ადგილზე 2-3-4 წლის შემდეგ. მაგალითად, სიმინდის ბუშტოვანი გუდაფშუტას წინააღმდეგ რეკომენდებულია ისეთი თესლბრუნვა, რომელშიც სიმინდი მოთავსდება ყოფილ ადგილზე 3-4 წლის შემდეგ, და სათესლე ნაკვეთთან არ უნდა იყოს 1 კმ-ზე ახლოს, რომელზეც სიმინდი იზრდებოდა წინა წელს სარგებლობენ თესლბრუნვის ამა თუ იმ ფორმით, მასში დაგეგმილი უნდა იყოს მცენარეთა დაცვა დაავადებებისგან და მავნებლებისაგან. თესლბრუნვა არის ერთ-ერთი საშუალება დაავადებისაგან მცენარეთა დასაცავად. თესლის დაავადებების შემთხვევაში ის მცენარეთა დაცვის მთავარი საშუალებაა.

ზოგიერთ სოკოებს, განსაკუთრებით ფესვების სუსტად სპეციალიზებულ პარაზიტებს, შეუძლიათ ნიადაგში დარჩენ გარკვეული დროის მანძილზე, როგორც თავისუფლად მცხოვრები საპროფიტები. ნიადაგში სწრაფად იღუპებიან მაღალი ცელულოზოლიტური აქტივობის მქონე სოკოები. მრავალი პათოგენური სოკოების სახეობები ნიადაგში ინახებიან მდგრადი პროპაგატიული სხეულის სახით ან მცენარეულ ნარჩენებში. ასევე, ოღონდ მცირე რაოდენობით შეიძლება შეინახოს მიწისზედა ორგანოების დაავადების გამომწვევი სოკოები.

ნიადაგში პათოგენების შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მათი მოზამთრე ფორმების დღეგრძელობაზე, ნიადაგის მიკრობიოლოგიურ და ქიმიურ პირობებზე და სხვა ფაქტორებზე. ეს მნიშვნელოვანია თესლბრუნვის ეფექტურობისათვის, ვინაიდან დაავადებისაგან დაცვა შეიძლება იყოს წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღებიანი კულტურების ნათესებს შორის ინტერვალი მეტია, ვიდრე პათოგენის ცხოვრების ვადა. თესლბრუნვა თითქმის არასოდეს არ იწვევს პათოგენის აღმოფხვრას, რადგან ეს უკანასკნელი ინახება მიმღებიან სარეველებში ან მდგრადი ფორმით ნიადაგის ფენაში, სადაც მისი ბიოლოგიური აქტივობა მკვეთრად დაქვეითებულია.

თესლბრუნვის როლი დაავადებისაგან მცენარეთა დაცვაში განისაზღვრება იმით, რომ მცირდება პათოგენის შემცველობა ნიადაგში იმ დონემდე, რომლის დროსაც ის გამოიწვევს მცირე ზარალს ან ინოკულუმის რაოდენობა არასაკმარისი აღმოჩნდება დაავადებისათვის. „უსაფრთხო" ინტერვალი მიმღებიან კულტურებს შორის უნდა განისაზღვროს მხოლოდ მინდვრის ცდებით. სასარგებლო ცნობები ამის შესახებ შეიძლება არსებობდეს აგრონიმების მიერ თესლბრუნვებზე ჩატარებულ ცდებში. იმ პათოგენების მიმართ, რომლებიც ინახებიან ნიადაგში დიდი ხნის განმავლობაში, საკითხი წყდება სხვანაირად. ფერმერმა იშვიათად შეიძლება ისარგებლოს ორ კულტურას შორის 7 ან 10 წლიანი ინტერვალით.

თესლბრუნვით სარგებლობისას დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვისას უნდა ვიცოდეთ მოცემული პათოგენის პატრონ-მცენარეთა წრე. თუ პათოგენი აავადებს მცენარეთა მრავალ სახეობას, როგორც ველურს, ისე კულტურულს, ის შეიძლება შენახული იქნას სარეველებზე და სხვა კულტურებზე მოცემული თესლბრუნვის დროს. მაგალითად, სოკო – Phymatotrichum omnivorum აავადებს 2000-ზე მეტი სახეობის მცენარეს, რომელთაგან მრავალი ითვლება ჩვეულებრივ სარეველად. ეს სოკო ასევე ივითარებს მრავალრიცხოვან სკლეროციუმებს ნიადაგში ორ მეტრსა და მეტ სიღრმეზე და ინახება იქ 12 წლამდე. ამ შემთხვევაში მარტო ერთი თესლბრუნვა ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ დაცვას, მას უნდა შევუხამოთ სხვა ღონისძიებებიც – ღრმად ხვნა ნიადაგის გამოშრობისათვის (ამ დროს სკლეროციუმები იღუპება), ორგანული სასუქების დიდი რაოდენობით შეტანა, რომელიც აძლიერებს ნიადაგის სხვა მიკროორგანიზმების აქტივობას.

თესლბრუნვამ საუკეთესო ეფექტი შეიძლება მოგვცეს სპეციალიზებული პარაზიტების შემთხვევაში, რომელთაც არა აქვთ უნარი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდნენ საპროფიტული ცხოვრების წესს ნიადაგში. სამწუხაროდ, მრავალი ამ პარაზიტთაგან ივითარებს მდგრად პროპაგატიულ სხეულს – სკლეროციუმებს, ქლამიდოსპორებს, ოოსპორებს, რომლებიც მრავალი წელი ინახება მოსვენებულ მდგომარეობაში. ისინი თანდათან მწიფდებიან და შემდეგ ფესვების გამონაყოფების გავლენით ღივდებიან.

მცენარემ, რომელიც ჩართული იქნება თესლბრუნვაში, უნდა მოახდინოს ასეთი პროპაგატიული სხეულის გაღივების სტიმულირება და თან უნდა იყოს გამძლე მოცემული პათოგენის მიმართ. მაშინ პათოგენი დაიღუპება ნაადრევი გაღივების შედეგად, ვერ შეხვდება მიმღებიან ფესვებს. ფესვების დამაავადებელი სოკოებისათვის ასეთი პირობების შექმნა რთულია. გარკვეულ წარმატებას შეიძლება მივაღწიოთ ამ ხერხით ფესვის დამაავადებადი ყვავილოვანი პარაზიტების მიმართ. ამისათვის სარგებლობენ ე. წ. მისატყუარი კულტურებით. თესლბრუნვაში რთავენ ისეთ კულტურებს, რომლებიც ფილოგენეტიკურად არ არიან ახლობლები, რათა ისინი ძლიერ განსხვავდებოდნენ თავისი მოთხოვნებით საკვებ ნივთიერებებზე და არ უნდა ავადდებოდნენ ერთი და იგივე პათოგენით.

თესლბრუნვა ძალზე სასარგებლო ღონისძიებაა დაავადებისაგან მცენარეთა დასაცავად. განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა იგი ნიადაგის პათოგენებთან ბრძოლაში. გარდა ამისა, ის შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მრავალი პათოგენის, ნემატოდებისა და მავნე მწერების წინააღმდეგ. თესლბრუნვის საშუალებით მიიღწევა სივრცითი იზოლაცია მინდორში წინა წელს დარჩენილ ინოკულუმებსა და იმ კულტურებს შორის, რომლითაც დაავადებულია მინდორი მიმდინარე წელს.

**შაქრო ყანჩაველი**
**/მცენარეთა პათოლოგიის საფუძვლები/**
**„ბიოაგროს" სამეცნიერო ხელმძღვანელი**

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება: ბ88. 88230973
თარიღი: 07/04/2023

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო (პირობიანი) აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს პირობიანი საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).
2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ნემსაძეს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.
3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ნოემბრის #ბ88.88213295 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

გივი ზაუტაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს პირობიან აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

| ლოტის № | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) (საერთო) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ყვარელი (ყოფილი პ/ ამბულატორია) | 3347 | 2384.39 | 57.06. 59.000.030 | 571065 | 114213 | 28553 | 50 |

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:**

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

**2. სააუქციონო პირობები:**

მყიდველი ვალდებულია 3 წლის განმავლობაში ჩადოს არანაკლებ 1 000 000 ლარის ინვესტიცია და განახორციელოს სამედიცინო მომსახურება სტაციონალური ასევე, ამბულატორიული მიმართულებით, არანაკლებ 2 წლის ვადით, შემდეგი სერვისების მიწოდებით:

1. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურება (EMERGENCY)

2. გინეკოლოგიური და სამეანო პროფილის მომსახურება;

3. რეანიმაციული მომსახურება;

4. ქირურგიული პროფილის მომსახურება (ზოგადი ქირურგია);

5. ლაბორატორიული სერვისების მიწოდება.

3. მეანობა გინეკოლოგია (ანტენატალური მეთვალყურეობა);

5. დერმატო-ვენეროლოგი.

6. ოფთალმოლოგიური სერვისი;

7. ლაბორატორია.

8. სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი სერვისი. (კატასტროფის ბრიგადა)

ამ და სხვა სპეციალიზირებული სერვისების არსებული კლინიკების ბაზაზე ან/და სხვა კონტრაქტორი კლინიკების მეშვეობით.

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს

საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა

გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563313

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (საჯარო აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათი შესრულების თაობაზე წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს.

6. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მითითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განსახორციელებელი ინვესტიციის დარჩენილი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

7. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის მიერ განიხილება საჯარო აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

8. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, აგრეთვე პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

9. აუქციონში გამარჯვებული პირი პირობებიანი საჯარო აუქციონის შემთხვევაში საჯარო აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრულ ღირებულებას. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა, ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ საჯარო აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/ და საგარანტიო თანხას/ბეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის სხვაობას.

10. აუქციონი ტარდება 2023 წლის 18 მაისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2023 წლის 19 აპრილიდან 2023 წლის 18 მაისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

11. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი №599 472 067; №577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

# ეტიუდი გაზაფხულზე

ადამიანთა მოდგმისთვის ცნობილია, რომ სამყარო უკიდეგანოა, ჩვენი დედამიწა კი – მზის ერთი პატარა პლანეტა. დედამიწაზე, ამ ულამაზეს პლანეტაზე, სადაც ჩვენ, ქართველებიც ვცხოვრობთ, ერთმანეთს ენაცვლებიან წლები, წლებს კი დრონი – გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.



ამქვეყნად ხომ გაზაფხულია ყველაფრის დასაბამი. გაზაფხულზე ილვიძებს ბუნება, იწყება სიცოცხლე. გაზაფხულს მოჰყვება მზიანი დღეები და სითბო. ხალხური ლექსი ამბობს: „მზე დედაა ჩვენიო“... ჩვენ, ყველანი, მზის შვილები ვართ, მზე გვათბობს, გვკვებავს, გვზრდის. მზე განაგებს დროის მონაცვლეობას და თანაც მუდამ ზუსტად და შეუმცდარად.

აი, ამ ზამთარსაც ყინვები და სიცივეები გამოვიარეთ, და ჰა, თებერვალი მიიწურა, ზამთრის უკანასკნელი თვე და გაზაფხული მოვიდა. ახლა სწორედ ის დროა, როცა მთის ქედი აჭრელდა, ფერდობზე თოვლმა დნობა დაიწყო, მდინარეები აიმღვრა...

ჰო მართლა, ვისთვის როგორ დგება გაზაფხული, ვისთვის როგორ. გაზაფხულის მოსვლას ზოგი როგორ აღიქვამს, ზოგი როგორ. უმეტესობა გაზაფხულის მახარობლად ენძელებსა და ყოჩივარდებს მიიჩნევს. თხელ თოვლზე, ოდნავ, ცისფერი რომ დასდებია, ალაგ-ალაგ რომ უკვე გამქრალა და მიწიდან თავწამოყოფილი ბალახი მწვანედ ხასხასებს. ზოგი გაზაფხულის მახარობლად შოშიებისა და მერცხლების მოფრენას მიიჩნევს.

აი, თბილი დღეები დაიჭირა და ერთ მშვენიერ დღესა თუ საღამოს, მერცხლებიც მოფრინდებიან. ზოგს შარშანდელი ბუდე ხელუხლებლად დახვდება. ზოგმა ახალი უნდა ააშენოს. მერცხალს კეთილი ხალხი უყვარს, ისეთი, სულ რომ არ შეეშინდება იმათი, ხელს რომ არ აუქშევენ, თავს რომ თვითონაც ოჯახის წევრად იგრძნობს. სახლის აივანზე მიკრული ბუდე და იქ ჩასახლებული მერცხლის ოჯახი მშვენებაა მთელი კარ-მიდამოსი.

ხალხის საუკუნოებრივი სიბრძნე დაბეჯითებით გვეუბნება, რომ გვიყვარდეს დედაბუნება, რომ ადამიანთა ცხოვრება ბუნების გარეშე, არც შეიძლება და არც წარმოიდგინება; რომ ადამიანი თვითონაც ბუნების შვილია.

ამით ყველაფერია ნათქვამი.

სად ვეძებოთ ის ადგილი, სადაც გაზაფხულს შევხვდებით, შევეგებებით, როგორც ცოცხალს და ვეტყვით, რომ მისი მოსვლა ძალზე გაგვიხარდა. ამგვარი ადგილი – ქართული სოფელია.

ამქვეყნად ყველას თავისი სოფელი აქვს. მეც ჩემს სოფელს გავიხსენებ, ძველებურს, ჩემი ბავშვობის დროინდელ სოფელს. რა ვქნა, თუ ზოგჯერ დავღონდები კიდეც, სევდაც მომეძალება. ადამიანს სევდა არ გაემტყუნება. სევდას მოგონებები იწვევს და მეც ხომ ჩემი სოფლის მოგონება მინდა.

ჩემი სოფელი შილდაა. საქართველოს ერთი ლამაზი და ღონიერი სოფელი, მშრომელი და გონიერი ადამიანებით. შილდის სამხრეთით სვადასხვაფრად გადაშლილი ალაზნის ვრცელი ველია, თავზე კი სოფელს კავკასიონის დიდებული მთები დასცქერიან.

შილდა ჩემი ბავშვობის სოფელია. ჩემი ბავშვობის სოფელი სულ სხვაგვარი იყო. ბევრი რამ მაშინდელი დაიკარგა, ბევრი რამ გაქრა. მე მგონია, რომ ნამდვილი სოფელი ის იყო, დღეს კი სოფლად ქალაქის მაგვარი რაღაც შეიქმნა, რომელიც ვერც იმას იტყვის ქალაქი ვარო და ვეღარც სოფლობას დაიჩემებს.

გავა ხანი, დღევანდელი სოფელიც მოსაგონარი გახდება, და დღევანდელმა ახალგაზრდებმაც, შეიძლება თქვან, ნამდვილი სოფელი ჩვენ დროს იყო, ახლა კი ვეღარ გაიგებ რა არის, სოფელი თუ ქალაქიო.

ამგვარია ჩვენი ცხოვრება და წუთისოფელი.

ძვირფასო მკითხველო, ადამიანთა ხსოვნაში არაფერი არ უნდა გაქრეს. თუ ჩვენ არ ვისაუბრეთ ჩვენ ბავშვობასა და მოგონებებზე, თქვენ კი თქვენეულზე არ მოუთხრეთ მომავალ თაობას, ხსოვნაში სიცარიელე დაისადგურებს. ხსოვნის სიცარიელისა კი ყველას უნდა ეშინოდეს! ყველაფერში, რაც მომავალში უნდა შეიქმნას, გუშინდელი და დღევანდელი იგულისხმება, გუშინდელი და დღევანდელი საძირკვლის გარეშე მომავალი არ აშენდება.

სოფელ შილდაში უსაყვარლესი და უძვირფასესი პაპა და ბებია მყავდა – ლევანა და სიდონია. მათთვის გაზაფხული მაშინ დგებოდა, როცა ლევანა პაპა ხელში ვაზის სასხლავ მაკრატელს აიღებდა და ვენახისაკენ გასწევდა.

ლევანა პაპას თავზე ყოველთვის კახური (თუშური) ქუდი ეხურა, სახე მზისგან, ქარისგან და იმ წლებისგან ჰქონდა დაღარული, ამქვეყნად რომ გაატარა, ხელები კი ჯაფისაგან ჰქონდა დაკოჟრილი. მან დიდხანს იცოცხლა, ოთხმოცდაშვიდს გადაცილებული იყო, დიდის პატივით რომ გავაცილეთ და დავკრძალეთ შილდის სასაფლაოზე.

აი, ამ დაკოჟრილ ხელში აიღებდა ვაზის მაკრატელს და ვენახის გზას დაადგებოდა. ხალხი მისძახოდა, ლევანა პაპავ, რა დროს სხვლა არი, ჯერ ისევ თოვლი დევს, ყინვამ არ მოუჭიროს გასხლულ ვაზს, არ გააფუჭოსო, რა გეჩქარებაო? ჩემი საქმისა მე ვიციო, პასუხს კი არ იძლეოდა, გულში ფიქრობდა ლევანა პაპა, მუშაობა გეზარებათ, ზამთრის ძილღვიძილობა გაგიტკბათ, არკი იცით, რომ ვენახი რახანია გელოდებათო.

აი, ლევანა პაპა რომ ვაზთან მივიდოდა და პირველ ლერწებს ჩასჭრიდა, იმ ჩამონაჭრევიდან რომ პირველი სუფთა წვეთი ჩამოიღვენთებოდა და გამდნარ თოვლზე დაეცემოდა, მისთვის ალბათ სწორედ იმ დროს იწყებოდა გაზაფხული. ის მომენტი დიდებული იყო, „ვაზის ტირილის“ დაწყების დრო. ასე ეძახდნენ და ახლაც ასე ეძახიან ვაზის ლერწის გადანაჭრიდან ჩამოსულ წვეთს, ჩამოსულ ცრემლს – „ვაზის ტირილს“.

ვაზი ტირის, ვაზის ტირილით მოდის გაზაფხული...

ან იქნებ სხვაგვარად?

თუ სოფელი გიყვარს, თვალი სოფლისკენ უნდა გეჭიროს! ადამიანი ხომ ბუნების შვილია, სოფელი კი სწორედ ბუნებაა. სოფლისკენ წასვლა მშობლიურ ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს. მოდით, ხშირად დავუბრუნდეთ ამ ფესვებს. ხშირად ვესტუმროთ პაპა-ბებიას, დეიდას, მამიდას, ბიძას... თუ ასეთები არ გვეგულება სოფელში, კეთილი ხალხი რამ გამოლია ქვეყანაზე, სოფელი მაინც ჩვენად უნდა ვიგულოთ, ჩვენს მეგობრად გავიხადოთ. ჭეშმარიტმა მეგობრობამ ხომ არც სიშორე იცის, არც მოუცლელობა, არც უდროობა...

გაზაფხულზე სოფელი მუდამ გარეთ გამოეფინება ხოლმე. ზამთარმა მაინც სახლებში გამოკეტა ხალხი, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა კი იყო, მაგრამ თითო-ოროლად თუ შეხვდებოდა სოფლელი სოფლელს. ახლა ცოტა დათბა, გარეთ დგომა შეიძლება. შეიძლება კი არა, გულმა გაგვიწია გარეთ. ვისაც სოფელი და ბუნება უყვარს, ის, იქ უფრო ლაღად და თავისუფლად სუნთქავს, რადგან იცის, ეს მთა და ბარი მისია. ისინი ამ მთისა და ბარის შვილები არიან.

ეს ყველაფერი კი ნებაა სიცოცხლის დიდი ძალისა. სიცოცხლე ხომ მუდმივ მოძრაობას, ბრძოლას, არსებობის უფლების მოპოვებას ნიშნავს. კაცმა რომ თქვას, თავად გაზაფხულიც სიცოცხლის ხელახლა დაწყებას, სიცოცხლის გამარჯვებას ნიშნავს.

დრო მუდამ წინ მიისწრაფვის. მისი შემობრუნება არ შეიძლება. და ჩვენ, ადამიანებს, ისღა დაგვრჩენია, რომ გავყვეთ დროის დინებას.

მაშ გამოვაღოთ ფანჯარა, გაზაფხული მოვიდა!...

**ოთარ დავითაშვილი**
**ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი**



# 9 აპრილის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს

34 წელი გავიდა 9 აპრილის ტრაგედიიდან, რომელსაც საქართველოს 21 მოქალაქე შეეწირა.

9 აპრილს განვითარებულმა მოვლენებმა მყარი საფუძველი დაუდო 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ჭიკაანსა და სოფელ გავაზში 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.



# კონცეფციის ძირითადი მიმართულებები განიხილეს

კახეთში საძოვრების მდგრადი მართვის კონცეფციის დოკუმენტი განიხილეს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საძოვრების მდგრადი მართვის კონცეფციის დოკუმენტი შემუშავდა.

ქ. თელავში გამართულ შეხვედრას კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი და რეგიონის მუნიციპალიტეტის მერები ესწრებოდნენ.

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ, სამინისტროსა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) წარმომადგენლებმა, კახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად, კონცეფციის ძირითადი მიმართულებები განიხილეს.



დოკუმენტით შემოთავაზებული მთავარი სიახლე არის სოფლის საძოვრის, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრის სტატუსების კანონით განსაზღვრა. ასევე, სახელმწიფოსა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საძოვრებით სარგებლობის რეჟიმების შემოღება, რაც გულისხმობს როგორც საერთო სარგებლობას, ასევე იჯარას. მართვის მუნიციპალური გეგმების მიხედვით მოხდება საძოვრების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია, ზონირება და სარგებლობის რეჟიმების დადგენა. საძოვრების საერთო სარგებლობის სისტემა დაინერგება სასოფლო დასახლებების ახლომდებარე საძოვრებზე. შეიქმნება მოსარგებლეთა გაერთიანებები და მათ სარგებლობაში გადაეცემათ სოფლის საძოვრები. დანარჩენი საძოვრების გამოყენება შესაძლებელი იქნება იჯარით. პოლიტიკის დოკუმენტი საფუძვლად დაედება საძოვრების მართვის საკანონმდებლო პაკეტის მომზადებას.




„საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში ჩამოყალიბებულ უწყებათშორის სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროექტის მხარდამჭერია გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF).

# „შეღებვამდე 15 წუთით ადრე კვერცხი ცივ წყალში გააჩერეთ“ – იდეალური ფერის ძველებური საიდუმლო



მალე სააღდგომოდ ყველა დიასახლისი კვერცხების ღებვის სამზადისს შეუდგება. ეს თითქოს ადვილი საქმეა, მაგრამ ახალბედა დიასახლისებს რამდენიმე რჩევას მაინც მივცემთ. მოგეხსენებათ, რასაც წელიწადში ერთხელ ვაკეთებთ, იმაში «დაოსტატებას» ვერ ვახერხებთ. თითქოს წინა წლის გამოცდილება მეორე წელს გვავიწყდება. ასე რომ, კვერცხების სრულყოფილად შესაღებად ეს რჩევები გაითვალისწინეთ.1. შესაღებად ძალიან დიდი ზომის კვერცხებს ნუ აირჩევთ. საშუალო და ოდნავ მომცრო კვერცხს უფრო გამძლე ნაჭუჭი აქვს.2. კარგია თუ შეღებვამდე 15 წუთით ადრე ცივ წყალში ჩაალბობთ, კვერცხი არ აგიჭრელდებათ და თანაბრად შეიღებება. 3. შესაღები ხსნარის მომზადება რამდენიმე

დღით ადრე დაიწყეთ, მაგალითად, სამშაბათს, რათა ფერი ბოლომდე გაიხსნას და კვერცხებმა უფრო მუქი შეფერილობა მიიღონ.4. ზემოხსენებული არ ეხება კვერცხის ხელოვნურ საღებავებს, ისინი გაცილებით სწრაფად იხსნება, თუმცა გირჩევთ, ტრადიციული და ნატურალური ინგრედიენტები გამოიყენოთ.5. დაჩეჩქვეთ 2-3 კონა ენდროს ფესვები და მოათავსეთ დაახლოებით 5 ლიტრის მოცულობის ემალირებულ ჭურჭელში (გაითვალისწინეთ, ამ ჭურჭელს ენდროს ფერს ველარ გააცლით). დაამატეთ ხახვის ფურცელი იმდენი, რომ ენდროსა და ფურცლის წილი 2:1 იყოს. ამ მასას დაასხით წყალი და დადგით ცეცხლზე. ადუღეთ დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში. პერიოდულად ამატეთ ხარშვისას დაკლებული წყალი. გააცივეთ და ისევ დადგით მოსახარშად. ასე გაიმეორეთ3-ჯერ.6. გაცივებულ ხსნარში ჩააწყვეთ კვერცხები. ეცადეთ, მოხერხებულად მოათავსოთ ენდროს ძირებსა და ხახვის ფურცლების მასაში. კვერცხები მაცივრიდან ერთი საათის გამოღებული მაინც უნდა იყოს, ანუ არა ძალიან ცივი. კვერცხის და ხსნარის ტემპერატურა ერთნაირი უნდა იყოს.7. დადგით დაბალ ცეცხლზე. უნდა იხარშოს 10-15 წუთის განმავლობაში. თუ ხსნარში 1 სადილის კოვზ მარილს ჩაყრით და ცოტა ძმარს ჩაამატებთ, კვერცხების დასკდომის შანსი კიდევ უფრო შემცირდება.8. მოხარშვის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეთ, მაგრამ მაშინვე ნუ ამოყრით კვერცხებს ქვაბიდან. 15-20 წუთით შიგნით დატოვეთ. ამის შემდეგ ამოალაგეთ, ცივი წყალი გადაავლეთ და რომ შეშრება, ჯეჯილში ჩააგორეთ.თუ სხვა პრაქტიკულ და გამოცდილ ხერხებს თავად ფლობთ, კომენტარებში გაგვიზიარეთ.



# ...როგორ აკეთილშობილებს შრომა ადამიანს, ხოლო კეთილშობილი ადამიანი ქვეყანას...

თითოეული ადამიანის შრომა დასაფასებელია. მნიშვნელობა არ აქვს სამსახურეობრივ რანგს, სოციალურ მდგომარეობას თუ ავტორიტეტს. ყველა მათგანი იმსახურებს პატივისცემას, თანადგომას, სიყვარულს და დაფასებას.

ჩემი ყურადღება ერთმა ქალბატონმა ჭავჭავაძის მუზეუმში მოწყობილ მარადმწვანე მცენარეების დარგვის აქციაზე მიიპყრო. საოცარი რუდუნებით, დიდი სიამოვნებით დაფუსფუსებდა. ცდილობდა ყველაფერი საკუთარი ხელით გაეკეთებინა.აშკარად გამოირჩეოდა ენთუზიაზმით, შრომისმოყვარეობით, საქმისადმი ერთგულებითა და სიყვარულით. როდესაც მის შესახებ ვიკითხე, აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დამლაგებელი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, ყველასთვის მისაბაძი ადამიანი-მარიამ ფროდიაშვილი.

მას ყვარელში ბავშვობაში შერქმეული სახელით იცნობენ. ქალთამზე, ქალთა – ასე ეძახიან მუზეუმშიც.



„ჩვენი ქალთა“, ასე მოიხსენიებს საუბარში მუზეუმის დირექტორი შორენა სეფაშვილი: „ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი საუკეთესო კადრითაა დაკომპლექტებული, თითოეულ თანამშრომელს კარგად ესმის საკუთარი მოვალეობა,მათგან გამოვარჩევდი მარიამ (ქალთა) ფროდიაშვილს, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ საქმეს: მთელი დღე დაფუსფუსებს, წმენდს, აწესრიგებს ირგვლივ ყველაფერს…სტუმარს ეზო ლამაზად და სუფთად უნდა დახვდეს. „ჩემს შრომას ილია ხედავსო“, – ამბობს ხოლმე. მისი მოკრძალებული საქმიანობა არც სხვისთვისაა შეუმჩნეველი. 2019 წელს იგი ყვარლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. შრომისმოყვარე, კოლეგიალური, თავმდაბალი, თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანი – აი, როგორია ჩვენი ქალთა“.

თუმცაღა, თავად ქალთა საკუთარ თავზე ნაკლებად საუბრობს, მაგრამ სიამოვნებით აღნიშნავს – რამხელა სითბოს და სიყვარულს იღებს გარშემომყოფებისგან. სწორედაც ეს არის მისი პიროვნული თვისებების გამომხატველი – კეთილშობილი, თავმდაბალი და მოკრძალებული, რითაც იმსახურებს სიყვარულს და პატივისცემას.

როდესაც ილიას მუზეუმზე საუბრობს, კიდევ უფრო მეტად გრძნობ მის დამოკიდებულებას არა მხოლოდ საკუთარი საქმის მიმართ, არამედ ზოგადად ადამიანური ფასეულობების მიმართ:... „ილია ჭავჭავაძის სახელი თითოეული ყვარლელისთვის განსაკუთრებით საამაყოა. მუზეუმის თანამშრომლებისთვის კიდევ უფრო მეტად. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდებული განცდაა – თითქმის ყოველდღიურად მის ნატერფალზე გავლა. ალბათ ამიტომაა, რომ თითოეული კუთხე-კუნჭული მიყვარს და განსაკუთრებულად ვუვლი და ვეფერები“, ამბობს ის.

უამრავი მოგონება აკავშირებს ილიას მუზეუმთან. ბევრი მოგონება ილიას საიუბილეო დღეების აღნიშვნასთან არის დაკავშირებული, რადგან მუზეუმს ამ დღეებში გამორჩეული სტუმრები ჰყავს ყოველთვის. ბედნიერია, როცა მათი მიერ გამოხატული აღფრთოვანება გარკვეულწილად მის გარჯასაც უკავშირდება.

ფიქრობს – ხალხის ყურადღება და სიყვარული რომ დაიმსახურო უნდა აკეთო ის საქმე, რომელიც გიყვარს, აკეთო ისე, რომ ყველა კმაყოფილი იყოს. ამით მიანიჭებ სიამოვნებას ყველას და საკუთარ თავსაც. უფლის რწმენას, პატიოსან შრომას და კეთილი საქმეების კეთებას მოაქვს ბედნიერება და ხალხის სიყვარული.

ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდება კი, ყველაზე დიდ დაფასებად მიაჩნია ცხოვრებაში – „განსაკუთრებული პატივისცემით ვიმსჭვალებოდი თითოეული ამ წოდების მატარებელი ადამიანის მიმართ. ვერ წარმოვიდგენდი თუ მეც გავხდებოდი ჩემი ქალაქის – ყვარლის საპატიო მოქალაქე, ამაში დიდი წვლილი ჩემი სათაყვანებელი მუზეუმის ხელმძღვანელს, თითოეულ თანამშრომელს მიუძღვის. მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით, დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო მათ მიმართ. მუზეუმში რომ სიხარულით მიმეჩქარება, მათი დამსახურებაა, ყოველთვის ვგრძნობ გვერდით დგომას, ზრუნვას და პატივისცემას“.

წარმოუდგენელია, ამ ქალბატონთან საუბრის შემდეგ ვერ დარწმუნდე – როგორ აკეთილშობილებს შრომა ადამიანს, ხოლო კეთილშობილი ადამიანი ქვეყანას...

**ია გიგიაშვილი**

# სპორტულ ასპარეზობებზე

## კარატე

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით წყნეთში ჩატარდა „თბილისის თასის 2023“ გათამაშება კონტაქტურ კარატეში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები.





45 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ყვარლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ აშკარელმა.

მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ბარბარე დოლმაზაშვილი, ნინო დენტოშვილი, ანი ბაღალოშვილი, მარი ჯანიაშვილი, გვანცა დოლმაზაშვილი, გიორგი ზაუტაშვილი და ირაკლი ოსეფაშვილი (მწვრთნელი მალხაზ ხიზანიშვილი).

ყვარლის შინკიოკუშინკაის კარატეს ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოს კონტაქტური კარატეს ფედერაციას, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ყვარლის მერიას და საკრებულოს მხარდაჭერისათვის.

## თავისუფალი ჭიდაობა

ქ. ხაშურში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირები, სადაც შესანიშნავად გამოვიდა სასპორტო სკოლის აღსაზრდელი მაგამედ მაგამედოვი. მან ყველა შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარა და ღირსეულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის წოდება. გარდაბანში ჩატარებულ ღია პირველობაზე ტურნირის ჩემპიონები გახდნენ შამილ რასულოვი, მაგამედ მაგამედოვი და შამილ მაგამედოვი, ხოლო მეორე ადგილები დაიკავეს შახრუდინ მაგამედოვმა და აბუბაქარ აბუბაქაროვმა.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი აბუაშვილის ღია რეგიონალურ ტურნირზე ჩემპიონი გახდა შამილ მაგამედოვი, მეორე ადგილზე გავიდნენ შახრუდინ მაგამედოვი, ახმედ გაჯიევი და მაგამედ მაგამედოვი, ხოლო მესამე ადგილზე – შამილ რასულოვი.



კასპში ჩატარებულ ნუგზარ გოგიბედაშვილის ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა მაგამედ მაგამედოვმა, ხოლო მესამე ადგილი – შამილ რასულოვმა. გორში ჩატარებულ ბადრი ბარამიძისა და ომზარ შოშიტაიშვილის ხსოვნის ტურნირზე მესამე ადგილები დაიკავეს ახმედ გაჯიევმა, შამილ მაგამედოვმა და მაგამედ მაგამედოვმა (მწვრთნელი რაშიდ მაგამედოვი).

## კრივი

ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში ახალგაზრდებსა და დიდებს შორის ცალ-ცალკე, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. მათ ქვეყნის ჩემპიონატში ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც უდავოდ დიდი წარმატება სპორტის ამ სახეობაში.

67 კილოგრამ წონით კატეგორიაში ახალგაზრდებში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს დავით ელოშვილმა და ნიკა ლოლიაშვილმა, ამავე წონაში დიდებში მესამე ადგილის მფლობელი გახდა სულიკო შეშაბერიძე.

80 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიორგი ბოჭორიშვილმა.

ვულოცავთ სასპორტო სკოლის მოკრივეებს ქვეყნის ჩემპიონატში მოპოვებულ მედლებს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს (მწვრთნელები: ლერი გაგნიძე, ფარნაოზ მაისურაძე, კახა ზაუტაშვილი).





## სასკოლო სპორტული ოლიმპიადა – 2023

მიმდინარე წლის 7 მარტიდან სტარტი აიღეს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონულმა შეჯიბრებებმა. ამავე დღეს ქ. თელავში კახეთის რეგიონის სასკოლო გუნდებს შორის ჩატარდა კალათბურთში შეჯიბრი და ყვარლის მეორე საჯარო სკოლის გოგონათა ნაკრებმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. (ხატია ზაუტაშვილი, მარიამ ზაალიშვილი, ნინო ბეჟანიშვილი, თამარი გიგაშვილი).

19 მარტს ასპარეზობაში ჩაებნენ ხელბურთელები. ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის ვაჟთა ნაკრებმა პირველი ადგილი, ხოლო ამავე სკოლის გოგონათა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

ხელბურთელ ვაჟთა გუნდის წევრები არიან: ვახტანგ ხარებაშვილი, ნიკოლოზ ოროველაშვილი, ანზორ სეფაშვილი, ოთარ დოლმაზაშვილი, ნიკა იმერლიშვილი, ნიკოლოზ მჭედლიშვილი, ვალერი სურამლიშვილი (სკოლის დირექტორი ლეილა ქოჩორაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ზაზა ყრუაშვილი).

25 მარტს ახალსოფლის მე-2 საჯარო სკოლის გოგონებმა ფრენბურთში პირველობა არავის დაუთმეს და კახეთის რეგიონის ჩემპიონობა მოიპოვეს.

ახალსოფლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდის წევრები არიან: ნელი პავლიაშვილი, ლიკა რცხილაძე, ელენე ჭუმბურიძე, ელენე ხოხობაშვილი, ქეთი თვალიაშვილი, ქეთევან აშკარელი, სალომე პავლიაშვილი, მარიამ მეგრელიშვილი, თამარ კაკიაშვილი, ელენე პავლიაშვილი (სკოლის დირექტორი მალხაზ ცერცვაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გია არჩვაძე).

აღსანიშნავია, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებმა სპორტის ექვს სახეობაში მიიღეს მონაწილეობა.

რეგიონალურ პირველობაზე მინიფეხბურთში ასპარეზობა დაიწყება 22-23 აპრილს, რომელსაც უმასპინძლებს ქ. საგარეჯო.

## თივის საჯარო სკოლის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშების ფარგლებში, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქ. ყვარელში, ილიას ტბაზე, შეჯიბრი გაიმართა გეზრბენში.

ვაჟებს შორის პირველი ადგილი ყვარლის სოფელ თივის საჯარო სკოლის, ხოლო მეორე ადგილი კი ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის საჯარო სკოლის გუნდებმა დაიკავეს.

გოგონათა გუნდებს შორის, პირველი ადგილის მფლობელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილი კი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანდარის საჯარო სკოლის გუნდს ხვდა წილად. შეჯიბრში გამარჯვებულ მონაწილეებს სიგელები და თასები გადაეცათ.

გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიადის ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებს შორის ჩატარებულ შეჯიბრში, რომელიც ზაფხულში გაიმართება.





## ჩემპიონატი K-1 სახეობაში

ქ. ახმეტაში, 2 აპრილს ჩატარდა საქართველოს მაშტაბით კლუბებს შორის ჩემპიონატი K-1, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლის კლუბ კახეთის აღსაზრდელებმა და გუნდმა მოიპოვა დიდი წარმატება. (მწვრთნელი: ზაქრო ხეჩიაშვილი).

**გვერდი მომზადა**
**ალექსანდრე გიგილოშვილმა**

## მადლობა

ყვარლის სასპორტო სკოლის დირექცია მადლობას უხდის ქალბატონ მაგული სააკიშვილს და მის ქალიშვილს ეკა ელოშვილს (საქართველოში ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს), გაწეული ქველმოქმედებისა და მხარში დგომისთვის. მათ ყვარლის სასპორტო სკოლის სპორტსემენებსა და აღსაზრდელებს საჩუქრად (უსასყიდლოდ) გადასცეს სპორტული ლიტერატურა და ალბომები, სადაც ასახულია (ფერადი ფოტოსურათებით) გამოჩენილი ქართველი სპორტსმენების ცხოვრების, მოღვაწეობის ისტორიები და მათ მიერ მიღწეული სპორტული შედეგები.

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86